საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 6 აპრილი, 2013 წელი.

№64 (7191)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.

იმ რეჟიმს არც ერთი დღე უდანაშაულოდ არ უარსებია

4

ყოფილი პატიმარი, პროფესორი ომარ ქუცნაშვილი მონური ფსიქოლოგიის პროკურორ ვახტანგ იაშვილს სატანის მსახურს უწოდებს

„ზვიად გამსახურდია თბილისში 1994-ში ჰყავდათ ჩამოსვენებული“

8

...არაერთი ადამიანი დამიკავშირდა, მათ შორის რამდენიმე პირი მუქარით მოვიდა. ესენი არიან ყოფილი სამხედრო პირები, 70 წელს გადასილებული ადამიანები, რომლებიც ამ ბოლო ოცი წლის განმავლობაში წყვეტდნენ ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს. პრეზიდენტის სიცოცხლის ბოლო დღეებთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაზე პირდაპირ განმიცხადეს – „ეს არის უშიშროებაში დაცული დოკუმენტები, რასაც თქვენ, ბავშვები ვერ მიწვდებით. ეს თემა დაივიწყე. ამის იქით თუ წახვალ, შეგაჩერებთ“...

ჯონდი ბაღათურია:

თურქები აჭარას და აფხაზეთს ემუქრებიან

3

შეტევა „სითი პარკზე“ შიგნიდან და გარედან

5

მამა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე!

ანუ რაც „ბერიო“, ის ერიო“ და... დამზრალი „კვირტები“

2

გენო კალანდია

რამდენიმე ლექსი წიგნიდან „ფესვები“

6



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ალიან-ჩალიანი

საქართველოს მთავრობა ბიძინა ივანიშვილის საიდუმლო კომპანიებთან დაკავშირებით „გარდიანის“ სტატიას უპასუხებს

როგორც საქართველოს მთავრობის პრესრელიზშია ნათქვამი, საქართველოს მთავრობისთვის ცნობილია გარკვეული ვარაუდები იმის შესახებ, რომ ბიძინა ივანიშვილსა და ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ ერთ-ერთ კომპანიას შორის წარსულში საქმიანი კავშირი არსებობდა, გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვალდებულია, განაცხადოს მის საკუთრებაში არსებული ყველა აქტივის შესახებ.

— ბიძინა ივანიშვილმა არაერთხელ განაცხადა, რომ გამჭვირვალობის მაქსიმალურად უზრუნველყოფისთვის, მტკიცედ დაიცავს კანონის ყველა მოთხოვნას და საჯაროს გახდის საკუთარ ფინანსებთან დაკავშირებულ ინფორმაციას. 2011-2012 წლების საანგარიშო პერიოდში ბიძინა ივანიშვილი, როგორც პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი და შემდგომში პრემიერ-მინისტრი, არ ფლობდა არანაირ წილს ზემოაღნიშნულ კომპანიაში. ამდენად, იგი არ იყო ვალდებული ეს განეცხადებინა დეკლარაციაში. ხოლო, რაც შეეხება მის საკუთრებაში არსებულ ამჟამინდელ აქტივებს, ეს ინფორმაცია კანონის სრული დაცვით გაცხადებული აქვს დეკლარაციაში, — ნათქვამია საქართველოს მთავრობის პრესრელიზში.

ბრიტანულმა გამოცემამ „გარდიანმა“ გამოაქვეყნა დევიდ ლის სტატია სათაურით — „საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე საიდუმლო ფირმების მფლობელებს შორისაა“.

ქუთაისში გუბაზ სანიკიძის კაბინეტი ე.წ. სკოჩით „აჭედეს“

ქუთაისის მერიაში ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატის გუბაზ სანიკიძის კაბინეტი მოქალაქეებმა წებოვანი ლენტით — ე.წ. სკოჩით „აჭედეს“. როგორც აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა შალვა კამლაძემ განაცხადა, გუბაზ სანიკიძე არჩევნების შემდეგ, ოქტომბრიდან დღემდე საერთოდ არ გამოჩენილა შენობაში და შესაბამისად, არც კაბინეტში ყოფილა. მისივე თქმით, გუბაზ სანიკიძეს კანონი ავალდებულებს, სამ კვირაში ერთხელ მაინც შეხვდეს ქუთაისელებს, თუმცა, თვეობით დადიან ადამიანები და მაჟორიტარი დეპუტატი ერთხელაც არ შეხვედრია.

გუბაზ სანიკიძე ირწმუნება, რომ მისი სამუშაო კაბინეტის ნაცვლად სხვისი კარი „აჭედეს“

ქუთაისის მაჟორიტარ დეპუტატ გუბაზ სანიკიძის განცხადებით, მასთან დაპირისპირებულ პირებს შეეშალათ და მისი კარის ნაცვლად სხვისი კარი აჭედეს. როგორც სანიკიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ამ აქციის მიზანი, რომელიც მის მიმართ განხორციელდა, სრულიად უსაფუძვლოა.

— მე შემიძლია ვთქვა, რომ არც ერთი მაჟორიტარი იმდენს არ ხვდება საკუთარ მოქალაქეებს, როგორც მე, — განაცხადა გუბაზ სანიკიძემ.

დეპუტატი მომხდარს უზნეო „ნაციონალურ მოძრაობას“ უკავშირებს.

ინტერპრესი

◎ ვანდალიზმი

მამა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე!

ანუ რაც „ბერიო“, ის ერიო, და... დამზრალი „კვირტები“

ჯერ ნერვები დამეძაგრა, მერე კი ჩემი მეგობრის მიერ ხუმრობით გადაკეთებული ეს ფრთიანი ფრაზა გამახსენდა უნებლიეთ გუშინ დილით, როდესაც ვერაზე, ყოფილი სასტუმრო „საქართველოს“ გვერდით, სკვერში ათიოდე წლის ბიჭუნას შეძახილი მომესმა — ბაბუ, ბაბუ, ნახე, რა უძნია ვიღაც გიჟს დოდო აბაშიძის ძეგლისთვისო!

მივიხედე და!...

ამ დიდებული ქართველისა და ჭეშმარიტად სახალხო მსახიობის ბიუსტი ესოდენ მომრავლებულ ცისფერთაგან ერთ ცისფერ ვანდალს ცისფერი საღებავით დაეღებინა!

— გაეცალეთ, გადაღება სურს კაცსო! — შეუძახა ერთმა მაღალ მამაკაცს, ნერვულად რომ კრეფდა მობილურზე ნომერს.

— მოდი, ძმაო, გადაიღე, ტელევიზიაში ვრეკავ, რომ მოვიდნენ და გადაიღონ ეს ნაავკაცარი! ამუბნელები ვართ და კი გავწმენდთ ბიუსტს, ბენზინი და ჩვრებიც მოვიტანეთ, მაგრამ ამისი გამკეთებლის ამღვრეულ სინდის-ნამუსს რა გაწმენდს, — დასძინა გამწარებულმა.

— უნივერსიტეტთან ტარას შევჩენკოს ძეგლიც ასეთივე საღებავით დაუდღაბნიათ იმ ვიგინდარა ვანდალებს, — შემოგვიერთდა ვაკიდან მომავალი აღშფოთებული მოქალაქე.

— გუშინ საკმაოდ თბილოდა და ლამის ღამის ორ საათამდე ვისხედით აქ, ვსაუბრობდით. მერე ვინ მოვიდა გამთენიისას ამ მამაძაღლობისთვისო! — უკვირდა ჭაღარაშერეულ მამაკაცს.

...ჩემმა მეგობარმა სათაურად გამოტანილი ფრთიანი ფრაზა მაშინ გადააკეთა, როდესაც შვილი შეუქეს, — ნაღდად სასახელო ბიჭი გეზრდებაო!

ჰოდა, მანაც, იხუმრა, — მაგისი მამა ნახეთ, მამა ნახეთ, განა სხვაგვარი შვილი გამოუვიდოდაო?

ასეთი ვანდალების მამის სული კი პირველად მაშინ ვახსენე ხმამაღლა, როდესაც მსხვილად გამოყვანილი სიტყვებით აჭრელებული მიწისქვეშა გადასასვლელის კედლები მანახა მეგობარმა:

— გუშინ, დილის ოთხი საათისთვის, აეროპორტში მივდიოდი ნათესავის დასახვედრად. ამ მიწისქვეშა გადასასვლელის კიბეზე ჩავდიოდი, როდესაც ასე 17-18 წლის ბიჭმა დაუსტვინა,— ვიღაცები მოდიან, წადითო!

ამ ნიშანზე დაახლოებით „ზექსზე“ მდგარი ბიჭის თანატოლი ორი მოზარდი გადასასვლელის მეორე კიბეზე ავარდა თავ-პირის მტვრევით.

როგორც ჩანს, ერთი მათგანი გვირაბის საპირისპირო მხარეს იდგა „ატანდაზე“, მეორე კი „ვარდების რევოლუციამდელი“ ცნობილი „კმარელის“ თეა თუთბერიძის „ხელობას“ „ამხეცებდა“ კედლებზე.

მაშინ წამომცდა გამწარებულს, — **ამათ რას ვერჩი, ერთი მაგ ტუტრუცანების მამებისთვის დამაგლეჯინა ყურები, სახლში მშვიდად რა აძინებთ, როდესაც ასე გვიან შვილები შინ არ არიან, იმათი „აღზრდილები“ სხვაგვარები როგორ გამოვიდოდნენ-მეთქი!**

მართლაც, **მითხარი, როგორი მამა გყავს და გეტყვი, როგორი შვილიც ხარ ან იქნები!**

კიდევ ერთ ანდაზას გადავაკეთებდი: **რაც ერიო, ის ბერიო კი არა, რაც „ბერიო“, ის ერიო, ვიტყოდი.**

ანუ, რაც მთავრობა და ხელისუფალი გვყავდა, — 10-15 წელი მჭირდება ქართველი ხალხის მენტალიტეტის შესაცვლელადო, რომ ამბობდა, ლამის ისეთი, მენტალიტეტშეცვლილი თინეიჯერი „მრევლიც“ მომრავლდა.

საბედნიეროდ, შარშანდელმა ოქტომბერმა დაუსვა წერტილი ამ ტოტალური გაციფრება-გადაგვარების კურსს!

გადაგვარებაა, აბა რა, როდესაც ნამინისტრალი, მაგრამ მბარალიული თავისუფლების ინსტიტუტელი გია ნოდიას ცოლი (და არა მარტო ის!) **განაცხადებს სახალხოდ და სიამაყით — სტალინის ძეგლი საღებავით მე გადავდაბნე და კვლავაც გადავდღაბნიო!**

ბარაქალა, შენს პირმტკიცობა-შეუდრეკლობას, თვით ჩერგოლეიშვილ-თუთბერიძეებსაც რომ შეშურდებათ ისეთს, ამორძალო!

ჰოდა, რად უნდა გაგვიკვირდეს გუშინდელი ვანდალიზმი? განა ასეთი „კვირტი“ სხვანაირ ნაყოფს გამოისხამდა?

კიდევ კარგი, შარშანდელმა „სუსხიან-ყინვიანმა“ ოქტომბერმა ის „კვირტები“ თითქოს მთლიანად დააზრო!

რუსლან რუსია

◎ ინფორმაცია

ვილნიუსის სამიტზე საქართველო ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პარაფირებას მოახდენს

ვილნიუსის სამიტზე საქართველო ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პარაფირებას მოახდენს. ამის შესახებ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოსთვის ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის კუთხით.

— 28-29 ნოემბერს დაგეგმილ ვილნიუსის სამიტზე პარაფირება მოხდება ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის, რომლის შემდეგაც ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი არის შეუქცევადი და მართლაც ჩვენ მივაღწევთ ჩვენს საბოლოო მიზანს, — აცხადებს პეტრიაშვილი.

მინისტრმა ასევე ისაუბრა ევროკავშირიდან დახმარების კუთხით გაწეულ სამუშაოებზე და აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში ორი ძალიან მნიშვნელოვანი შეთანხმება მოხდა.

— ეს დახმარებები არის ინსტიტუციური მშენებლობის კუთხით დახმარება, რომელიც არის 20 მილიონი ევროს მოცულობის და ასევე სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით, რომელიც არის 40 მილიონი ევროს ოდენობით. მინდა, ყველამ იცოდეს, რომ ევროკავშირის მიმართულებით ძალიან სერიოზულად მიმდინარეობს მუშაობა, — აცხადებს მინისტრი.

პეტრიაშვილის ინფორმაციით, უკვე დაწყებულია კონსულტაციები 2014-2020 წლის ევროკავშირთან თანამშრომლობის ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრაზე.

* * *

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ავლანეთიდან ტრანზიტის გამოყენების საკითხი განიხილება, — ამის შესახებ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა განაცხადა.

როგორც ალექსი პეტრიშვილმა განაცხადა, მთავრობას მიღებული აქვს გადაწყვეტილება, რომ 2014 წლის შემდეგადაც გააგრძელოს მონაწილეობა ავღანეთში. მინისტრის განმარტებით, ეს იქნება ამჯერად მონაწილეობა იმ ფორმით, რომ ქართველი სამხედროები დაკავებულები იქნებიან ავღანეთის უსაფრთხოების ძალების გაწვრთნით.

რაც შეეხება ბაქო-თბილისი-ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის ტრანზიტისთვის გამოყენებას, პეტრიაშვილი აცხადებს, რომ ასეთი განხილვა არსებობს, თუმცა აღნიშნა, რომ ამ პროექტს სხვა დატვირთვაც აქვს და საქართველოსთვის გარკვეული წლის შემდეგ ეროვნული სარგებლის მომტანი იქნება.

ინტერპრესი

◎ ფეისბუქიდან

წერტილოვანი ფრაზები

● დაღლილი გამოვიდა ვანო კულტურის სამინისტროდან, ქართულ ისტორიულ ძეგლებზე გულდათუთქული.....

ადგილობრივი პრობლემებიდან უცბად გადაერთო გლობალურზე, დილამდე უნდა მოესწრო პროექტი....სფინქსის ცხვირის აღდგენის მისეული ხედვები და პიზის კოშკის გასწორება-შემინვის ხარჯები.....

ვანო კვლავ კაცობრიობის სამსახურშია!

● ეს ვანო მერაბიშვილი არქიტექტორია, ისტორიკოსი, თუ მეჰმედ ფაშას შვილიშვილი, კულტურის სამინისტროში რომ მიდის რაბათის კომპლექსზე „საკაჩაოდ“?

საქართველოში დაახლოებით 300 პარტიაა და, ალბათ, ყველას ჰყავს გენერალური მდივანი და დარწმუნებული ვარ, ყველას ექნება თავისი „კომპეტენტური აზრი“ ამ საკითხთან დაკავშირებით. რატომ იწვევს კულტურის მინისტრი მარტო ერთი პარტიის ლიდერს?

რაშია საქმე, ჰა�ა?

● ამ ჩვენი პარლამენტარების და ენჯეოშნიკების დიდ ნაწილს ბავშვობიდან სურდა ტელევიზორის ეკრანზე გამოჩენილიყო (ეს მათს ქვეცნობიერში იმალება. იხ. ზ. ფროიდი. ტ 5, გვ 126-243), მაგრამ რადგანაც არც მსახიობის, არც მომღერლის და არც ტელეწამყვანის ნიჭი არ აღმოაჩნდათ, ხელისუფლებაში მოვიდნენ და ტელეკამერების წინ სხვადასხვა საკითხზე კომენტარების გაკეთებით იკმაყოფილებენ ფარულ ვნებას.

მოვითხოვ: — აეკრძალოთ ტელევიზიებს პარლამენტარებისა და ენჯეოშნიკების ტელეეკრანებზე გამოყვანა და პოლიტიკური საკითხების გაშუქება არაუმეტეს 10 წუთისა 24 საათის განმავლობაში (ჯანდაბას 15 წთ).

ისინი, ვინც არ დამორჩილდებიან, დაექვემდებარონ იძულებით მკურნალობას (განსაკუთრებულ შემთხვევაში გავგზავნოთ ბიშკეკში).

დამერწმუნეთ, აღარც საზმაუს ბორდის დაკომპლექტების საკითხი შეგვაწუხებს, აღარც „რუსთავი 2“-ის დეზინფორმაციულობა და აღარც სხვა ტელეკომპანიების სიარული ტელებადეები.

● ახალი ინფორმაცია ვაშინგტონიდან: მიშას ლობისტებს ჩამოჰყავთ 1500 კაცი ამერიკიდან, 19 აპრილს ჩამოჰყავთ კასპიის დეპარტამენტის 60 წევრიც, რათა შეამოწმონ მიშას ძალა — ეს „გარდიანის“ ამბავი არის, აგრეთვე, მიშას ლობისტი „ლიბერალების“ ატეხილი. როგორც ამბობენ, ამერიკის დროშებსაც ჩამოიტანენო. მიშა ცდის პროვოკაციას აქციაზე და აპირებს კრიზისის დაწყებას. „გარდიანის“ ამბავიც იგივე მაფიის ატეხილია. მოკლედ, ნაცები 19 აპრილიდან პროვოკაციებს აპირებენ სერიოზულად. ეს ამერიკელი მოქალაქეებიც რომ ჩამოვლენ — ზომებია მისაღები. მთავრობამ წინასწარ უნდა მიიღოს ზომები.

გია გაბრიჭიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„თურქეთსა და საქართველოს შორის მოლაპარაკებები კარგა ხანია გასცდა იმ ჩარჩოებს, რომლებშიც უნდა მიმდინარეობდეს ორ თანაბარუფლებიან, კეთილმეზობლურად განწყობილ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა. თურქეთმა ამ მოლაპარაკებებში დაიბრუნა იმპერიული ტონი და საქართველოს სახელმწიფოზე ზეწოლას, შანტაჟს და საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას ახორციელებს“, — ამის შესახებ განცხადება „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ for.ge-ს პრეს-კლუბში გააკეთა.

მისი თქმით, ეს იმის მაჩვენებელია, რომ უკვე დიდი ხანია თურქეთი სეკურალურ სახელმწიფოდ მხოლოდ ქაღალდზე რჩება, მისი ახალი ხელისუფლება აშკარად ისლამისტური სახელმწიფოების რიტორიკისკენ არის მიდრეკილი და ძველ თურქ-ოსმალთა იმპერიის აღდგენას ცდილობს. ჯონდი ბაღათურია ამბობს, რომ მეჩეთების მშენებლობა რელიგიური მოტივაციით არ არის განპირობებული და პირველი, რასაც თურქეთი ითხოვს, ეს არის აფხაზეთისთვის შეზღუდვების მოხსნა და მის აკვატორიაში თურქული გემების შეშვება. აქვე ბაღათურია აღნიშნავს, რომ თურქული გემები აფხაზეთის აკვატორიაში შედიან კიდეც (სრულიად უკანონოდ) და ვაჭრობას ეწევიან, ანუ მუდმივად არღვევენ კანონს ოკუპაციის შესახებ, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ამაზე არაფერს ამბობს.

„ჩვენ მივეჩვიეთ იმას, რომ რუსეთმა და დასავლეთმა მოგვცეს უფლება, მხოლოდ რუსეთზე ვილაპარაკოთ, როგორც დამპყრობელზე და ამაზე ვატლიკინოთ ენა, ხოლო დანარჩენ სახელმწიფოებზე ხმა არ უნდა ამოვიღოთ. გარდა ამისა, თურქეთი ითხოვს წარსულში მის მიერ დაპყრობილ ქართულ ტერიტორიებზე ოსმალური ნაკვალევის ხელოვნურად შექმნას. ეს მას სჭირდება იმ პროპაგანდისტული რიტორიკისთვის, რომ, თითქოს, საქართველოს ძირძველი მიწები, აჭარა, აფხაზეთი და სამცხე-ჯავახეთი წარსულში მათი სახელმწიფო იყო და თითქოს, ჩვენ მათ ეს ტერიტორიები წავართვით. სწორედ ამას ასწავლიან ისინი საქართველოდან წაყვანილ ბავშვებს, რომლებსაც მედრესებში აძლევენ განათლებას“, — აცხადებს ჯონდი ბაღათურია.

მისი თქმით, სამარცხვინოა ასეთი რამ იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც ნატოს წევრია და ევროკავშირის წევრობის პრეტენზია აქვს. ჯონდი ბაღათურია აცხადებს, რომ აჭარაში მოსახლეობის 80%-ზე მეტი მართლმადიდებელი ქრისტიანია და იქ სულ 45 ტაძარია. ამ დროს კი მოსახლეობის 20%-ზე ნაკლები მუსლიმისთვის აჭარაში 200-ზე მეტი მეჩეთი დგას. აქვე იგი დასძენს, რომ ყველა მეჩეთი თურქების აშენებულია, თითოეულთან არის მედრესე დაარსებული, სადაც ბავშვებს ასწავლიან, რომ თავის დროზე, აჭარა თურქეთს საქართველომ წაართვა და, რომ ეს თურქული მიწაა.

ბაღათურიას თქმით, ამის დამადასტურებელი ვიდეოჩანაწერებიც არსებობს. იგი ამბობს, რომ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დავითოღლუ არის ამ იდეოლოგიის მამამთავარი, რასაც დიდი თურანის სახელმწიფოს აღდგენის იდეა ჰქვია.

„დავითოღლუ აცხადებს, რომ 110 წლის წინათ აჭარა თურქეთის შემადგენლობაში შედიოდა ისევე, როგორც ბენღაზი, იემენი და სირია და თურქები სირიის საქმეებშიც აშკარად ერევიან და იქ საომარ მოქმედებებში მათი ფულია ჩადებული, რითაც სირიაში დესტაბლიზაციას იწვევენ. სირიაში პირდაპირ ჩანს, როგორ იყენებს რელიგიურ მომენტს თურქეთი პოლიტიკური სპეკულაციისთვის. სწორედ რელიგიური მომენტის გამოყენებით დაიწყო თურქეთმა არეულობის პროვოცირება სირიაში. ამისთვის მან გამოიყენა ის ფაქტი, რომ იქ დიქტატორული და ცივილიზებული სამყაროსთვის მიუღებელი რეჟიმია და დღეს სირიაში სამოქალაქო ომს იარაღით თურქეთი ამარაგებს. სწორედ ასეთის მომზადებისკენ მიდის თურქეთი საქართველოს ტერიტორიაზე. მიმაჩნია, რომ სირცხვილია, ქართველი პოლიტიკოსები ამაზე ხმას რომ არ იღებენ და ენის მოჩლექვით ელაპარაკებიან იმ ხალხს, რომლებმაც ჩვენს მიწაზე ძალიან ბევრი ქართული სისხლი დაღვარეს“, — ამბობს ბაღათურია.

იგი მოუწოდებს თურქეთის ხელისუფლებას და დასავლეთს (რომლის ნაწილიც, ბაღათურიას თქმით, ჩვენ ვართ), ნუ ჩაგრავენ საქართველოს იმის გამო, რომ ის პატარა სახელმწიფოა და დღეს სუსტია, რადგან მოღალატე ხელისუფლება ჰყავდა. ბაღათურია ამბობს, რომ მის პარტიაში მიმდინარეობს კონსულტაცია (რომელიც არასამთავრობო სექტორთანაც გაიმართება) და „ქართული დასი“ აპირებს, მოითხოვს რეფერენდუმი იმის შესახებ, არის თუ არა საჭირო საქართველოში მეჩეთების მშენებლობა. ჯონდი ბაღათურიას თქმით, მეჩეთების მშენებლობის პროცესში თურქეთი ცდილობს ოსმალური კვალის შექმნას, რათა მომავალში თქვას, რომ ეს მისი ტერიტორია იყო, რადგან აქ თურქული ნაკვალევია.

„ქართული დასის“ ლიდერი აცხადებს, რომ 110 წლის წინათ საქართველოში სულ ორი მეჩეთი იყო, ერთი თბილისში და მეორე აჭარაში და ეს ხდებოდა იმიტომ, რომ თურქეთი ვერ ბედავდა საქართველოს ტერიტორიაზე მეჩეთის აშენებას, რადგან იცოდა, რომ უკმაყოფილო ქართველები ჯანყდებოდნენ.

— ბატონო ჯონდი, უკანასკნელ დღეებში აქტუალურია რაბათის ციხის თემა და ამაზე რისი თქმა შეგიძლიათ?

ჯონდი ბაღათურია:

თურქები აჭარას და აფხაზეთს ემუქრებიან

— მინდა გითხრათ, რომ რაბათის ციხე არ არის თურქების აშენებული. ის არის ახმედფაშა ჯაყელის აშენებული, რომელიც იყო ქართველი მუსლიმი და შემდეგ თურქებმა სიკვდილით დასაჯეს. ეს ადამიანი იყო ქართველი და საქართველოში თურქეთის ბატონობას არ ემხრობოდა. ჯაყელები, აბაშიძეები და თავდგირიძეები მუდმივად ებრძოდნენ თურქეთის ბატონობას. მინდა აჭარის მუსლიმ ქართველობას შევახსენო, როგორ მოხდა მათი წინაპრების გამუსლიმანება. ეს მოხდა სასტიკი სისხლისღვრით. არც ერთ დამპყრობელს არ გამოუჩენია ისეთი სისასტიკე, თვით სპარსეთსაც კი, როგორსაც ოსმალოები იჩენდნენ.

რა თქმა უნდა, აჭარის მკვიდრ მუსლიმ ქართველებს უფლება აქვთ, თავიანთი რელიგიური გრძნობები ჰქონდეთ, ისინი ჩვენი ძმები არიან და მათი რწმენის დამოუკიდებლობა ხელშეუხებელი იქნება, მაგრამ ხელს ნუ შეუწყობენ თურქეთის ბატონობას. სხვათა შორის, აჭარის მუსლიმი მოსახლეობა ამას აცნობიერებს. მე წარმოშობით ბათუმიდან ვარ, სადაც ძალიან ბევრი, როგორც მართლმადიდებელი, ასევე მუსლიმი მეგობარი და ახლობელი მყავს. ესენი არიან საქართველოს ყველაზე დიდი პატრიოტები, რადგან ამ ხალხმა ყველაზე კარგად ნახა ის ტკივილი, რაც შეიძლება დამპყრობელს მოჰქონდეს და ამ მხრივ განსაკუთრებულად სასტიკები თურქები იყვნენ.

— ბატონო ჯონდი, თურქეთი აჭარაში აზიზის მეჩეთის აშენებას ითხოვს. აზიზი ერთ-ერთი ყველაზე სუსტი სულთანი იყო და რატომ მაინცდამაინც მისი სახელობის მეჩეთის აშენება სურთ თურქებს?

— როდესაც საქართველოში შემოვიდნენ, თურქებმა ააშენეს აზიზის ხის მეჩეთი. მათ ის აწუხებთ, რომ საქართველოში არ არის თურქული კვალი. ქართველები მათ თურქული კულტურის ძეგლებს არ აშენებინებდნენ. ახლა სურთ, ძველი რიცხვით შექმნან კულტურის ძეგლები, რათა შემდეგ თქვან, რომ აქ ეს ადრე იყო. სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო ქართველი პოლიტიკოსებისთვის ერთი ძალიან სამარცხვინო ფაქტი, კერძოდ, წინა ხელისუფლება იტყუებოდა და ახლა აღმოჩნდა, რომ ეს საკითხი მოგვარებული არ იყო. საქმე ეხება ქართული კულტურის ორ უდიდებულეს ძეგლს, პარხალსა და ოთხთას მონასტერს, რომლებსაც თურქები ძირავენ. ეს არის ულამაზესი და უდიდესი ქართული კულტურის ძეგლები. თურქები კი აპირებენ, რომ რაღაც კაშხალი ააშენონ და შესაძლოა, ეს ძეგლები უბრალოდ დაიძიროს. წარმოიდგინეთ, საქართველოს ტერიტორიაზე ორი მეჩეთი რომ ჩავძიროთ. უდიდეს პატივს ვცემ მეზობელ სახელმწიფოს, თურქ ხალხს, მათთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გვინდა, მაგრამ ეს არის ბარბაროსობა. ხაზს ვუსვამ იმასაც, რომ მე თურქ ხალხთან არ მაქვს პრეტენზია. ჩემი კრიტიკა თურქეთის ახალი ხელისუფლების იმ ნაწილს ეხება, რომლის იდეოლოგიც არის დავითოღლუ.

— თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოს ხელისუფლება თურქეთთან მიმართებაში არაადეკვატურად იქცევა?

— დიახ, ხელისუფლება სრულიად არაადეკვატურად და თურქეთის ხელისუფლების ქმედებების არათანაზომიერად იქცევა. ოსმალთა იმპერია ვეღარ აღდგება, ეს სრული ქიმერაა, მაგრამ თუ საქართველოს ხელისუფლება ფხიზლად არ იქნება, ჩვენ შეიძლება რაღაც ტერიტორიები დავკარგოთ. მე ყოველდღიური კავშირი მაქვს აჭარასთან და შემიძლია გითხრათ, რომ აჭარა ფაქტობრივად გმინავს. განსაკუთრებით აჭარის მუსლიმი ქართველები არიან შეშფოთებულები იქ თურქების გააქტიურებით. ეს არის არა მხოლოდ ეკონომიკური ექსპანსია. არც ერთ წესიერ თურქ ინვესტორს არ ეძლევა საშუალება, რომ აჭარაში ფაბრიკა ან ქარხანა ააშენოს. ძირითადად შემოდიან კრიმინალები, რომლებიც ტრეფიკინგით არიან დაკავებულები. აჭარაში თურქებისა და ქართველების მონაწილეობით ჩამოყალიბებულია ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფი. თურქებს შუა აზიიდან საქართველოში ქალები შემოჰყავთ, ძირითადად ეს არის სექსუალური ექსპლოატაცია. ქართველები კი ამ ბიზნესს „კრიშავენ“. სხვათა შორის, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ აჭარის პოლიცია ძალიან გააქტიურდა თელიას მეთაურობით და მან მნიშვნელოვნად შეავიწროვა ტრეფიკინგის ბიზნესი, რომლითაც ადრე აჭარის სახელისუფლო სტრუქტურების წარმომადგენლები იყვნენ დაკავებულები. იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში აჭარის ტერიტორიას ამ სამარცხვინო ბიზნესისგან გავწმენდთ.

— თქვენ საქართველოს ტერიტორიების შესაძლო დაკარგვაზე საუბრობთ. რომელ ტერიტორიებს ემუქრება ეს საფრთხე?

— თურქები ემუქრებიან აჭარას და ახლა უკვე აფხაზეთზეც სერიოზულად მუშაობენ. არ ვიცი ქართულ სპეცსამსახურებს სძინავთ, თუ ინფორმირებულები არ არიან ამის შესახებ, მაგრამ რუსული სპეცსამსახურები სერიოზულად არიან შეშფოთებულები და ასე ვთქვათ, ეჭვიანობენ აფხაზების თურქეთის მიმართულებით მზერაზე. აფხაზებმა ძალიან სერიოზულად დაიწყეს თურქეთისკენ ყურება.

— საქართველოს ხელისუფლებამ რა ნაბიჯები შეიძლება გადადგას ამ პრობლემის მოსაგვარებლად?

— საქართველოს ხელისუფლებამ, პირველ რიგში, შინა პრობლემები უნდა მოაგვაროს და შინა ინტრიგები დაძლიოს. თელიას შემთხვევა სხვა არაფერია, თუ არა შიდა ინტრიგების ნათელი მაგალითი. მიმაჩნია, რომ იგი შეცდა, თუ ვინმეს სიგარეტის ნამწვი ესროლა, მაგრამ აქამდე ამის მიყვანის უკან ერთ-ერთი სახელისუფლო ჯგუფი დგას და ყველამ ვიცით, რომ ეს არის პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრს ებრძვის. როდესაც არის შიდადაპირისპირებები, ხელისუფლება ყოველთვის სუსტდება და გარე ძალები ძლიერდებიან. დარწმუნებული ვარ, ახლა თელიას ყურადღება ინტრიგებზე გადაერთვება და ტრეფიკინგთან და სხვა რეალურ პრობლემებთან ბრძოლაში გაუბედავი იქნება, რადგან მოწინააღმდეგე ჰყავს, არც მეტი, არც ნაკლები, პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც ღარიბაშვილთან არის დაპირისპირებული.

კონსოლიდირების შემდეგ ხელისუფლებამ უნდა აჩვენოს თურქეთს, რომ მათთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გვსურს, მაგრამ ნუ ცდილობენ ჩვენი კულტურის ძეგლების განადგურებას, ნუ ეცდებიან საქართველოს ტერიტორიაზე თურქ-ოსმალთა დამპყრობელი იმპერიის ნაკვალევის ძველი რიცხვით შექმნას, ასევე ნუ ცდილობენ, საქართველოს ხელისუფლებას თავს მოახვიონ აფხაზეთისთვის შეზღუდვების მოხსნის საკითხი.

ნინო ჟღენტი

◎ ალიან-ჩალიანი

ვახტანგისის მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან სოფელ ვახტანგისის მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა. გამგეობის შენობასთან ვახტანგისის მოსახლეობა სოფლის რწმუნებულის მარინა ირემაშვილის მხარდასაჭერად შეიკრიბა.

აქციის მონაწილეები გარდაბნის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ გელა ხუციშვილისგან სოფელ ვახტანგისის რწმუნებულის მარინა ირემაშვილის თანამდებობაზე დატოვებას მოითხოვდნენ და აცხადებდნენ, რომ ხუციშვილი ირემაშვილისგან განცხადების დაწერას და სამსახურიდან წასვლას მოითხოვს.

გარდაბნის გამგეობასთან თავად ვახტანგისის რწმუნებული მარინა ირემაშვილიც იმყოფებოდა. როგორც ირემაშვილმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში განაცხადა, გელა ხუციშვილმა მას არაერთხელ მოსთხოვა განცხადების დაწერა და სამსახურიდან წასვლა, რაზეც უარი მიიღო.

აქციის მონაწილეებს გუშინ გელა ხუციშვილი შეხვდა. გარდაბნის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა კატეგორიულად უარყო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ის ვახტანგისის რწმუნებულისგან განცხადების დაწერას მოითხოვდა. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ მარინა ირემაშვილის გათავისუფლებას ის არ გეგმავს და მასთან არანაირი პრეტენზიები არა აქვს.

ვახტანგისის მოსახლეობის განცხადებით, იმ შემთხვევაში თუ სოფლის რწმუნებულ მარინა ირემაშვილს დაკავებული თანამდებობიდან გამგებელი მაინც გაათავისუფლებს, ისინი უფრო ფართომასშტაბიან აქციას გამართავენ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

იმ რეჟიმს, არც ერთი დღე უდანაშაულოდ არ უარსებია

ყოფილი პატიმარი, პროფესორი ომარ ქუცნაშვილი მონური ფსიქოლოგიის პროკურორ ვახტანგ იაშვილს სატანის მსახურს უწოდებს

***„ორთაჭალის** ციხეში მახსოვს ასეთი შემთხვევა: მამაო იყო მოსული ჩემთან შეხვედრების ოთახში, გვიანობამდე ვისაუბრეთ... (განკუთვნილ საათებს სრულად ვიყენებდი, დრო მაქვს, ე. ი. აქ ვარ). გამოვედი და რას ვხედავ, ზედამხედველს პატიმრები ძირს დაუყრია, დაუყრევინებია ხატები, ჯვრები და სჯის... აი, მაშინ ნამდვილად ვიფეთქე, ვუთხარი, სად გაიზარდე, ქრისტიანი არა ხარ- მეთქი? კაცები არა ხართ, ვინ არის, ხატები და ჯვრები როგორ დაყარეთ ამის ნათქვამზე- მეთქი? გამოვიძახე ციხის უფროსი და იმ დღიდან ის ზედამხედველი მოგვაშორეს, თვალით არ გვინახავს... იყო სხვა შემთხვევაც, საავადმყოფო გაიხსნა და მოშყავდათ ავადმყოფი პატიმრები. ვუყურებთ საკნიდან, გარეთ ხდიან ტანსაცმელს საწყლებს შუა ზამთარში, რიგში აყენებენ და ისე შეჰყავთ. ცრემლებით ატირდა ერთი პატიმარი. მაშინ კი აივსო მოთმინების ფიალა, აყვირდნენ ბიჭები, დაიწყეს ხმაური, ასე ვთქვათ ბუნტი, სადისტები ხართ, რას უშვებითო. შიგნით შეიყვანეს პატიმრები. მაგრამ ღამის პირველი საათის შემდეგ შემოვიდა სპეცრაზმი. ველოდით ამას და ბიჭები გავაფრთხილე, თქვენ ხმა არ ამოიღოთ, მე დაველაპარაკები-მეთქი. ასეც მოიქცნენ, მიჯერებდნენ. ციხის უფროსმა გააღო თუ არა საკნის კარები, მე შევეგებე: რატომ აკეთებთ ამას, ადამიანები არა ხართ, ვინ მოგცათ ავადმყოფის ასე მოქცევის უფლება-მეთქი. შავ დღეში ჩავარდა, არ იცის, რა ქნას, ცდილობს, როგორმე გაარიდოს ჩვენს საკანს ეს მგლებივით აღრენილი ბიჭები. იმეორებს, ესენი არ იქნებოდნენ, ესენი არ იქნებოდნენო. მე კიდევ ვაგრძელებ საყვედურებს, ის კი ამტკიცებს, რომ ჩვენ არ ვიქნებოდით. გაიყვანა სპეცრაზმი, გადავრჩით, მაგრამ ისინი ახლა სხვა საკანს დაერივნენ, დაუსჯელი მაინც არ დატოვეს ეს ამბავი“...*

ალბათ, ფიქრობთ, რომ ჩვენი რესპონდენტი რომელიმე მაღალი რანგის კრიმინალია, ან ციხის რეჟიმში გამოწვრთნილი რეციდივისტი... თუმცა ნაკლებად წარმოსადგენია , რომ ეს პატიმარი 70 წელს გადაცილებული პროფესორია, საქართველოში იშვიათი სპეციალობის- გეოლოგია- მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ომარ ქუცნაშვილი.**

მან ციხეში სრული ოთხი წელი გაატარა (2008-2012), არ შეეხო არანაირი ამნისტია, შეწყალება თუ სხვა. ის გაასამართლეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლით — ფულად-საკრედიტო დოკუმენტაციის გაყალბების ბრალდებით. ბუნებრივია, არ არის სასიამოვნო ციხეში გატარებული წლების გახსენება, მაგრამ ვფიქრობთ, ბატონი ომარის მონაყოლი ნამდვილად შეგვიქმნის სურათს იმისა, თუ რა ხდებოდა ციხეებში, როგორი სამართალდამცავები გვყავდა და როგორი იყო სახელმწიფოს მიდგომა...

— ყველა ეტაპზე დაარღვიეს ჩემი უფლებები, — ყვება ბატონი ომარი, — თვითონ ეს შეფარდებული მუხლიც ყალბია. ერთადერთი, ერთგვერდიან ანგარიშფაქტურაში ამერიკის მილენიუმის“ ხელმძღვანელობას ვწერდი, რომ შევასრულეთ სამუშაოების 25 პროცენტი (ეს იყო გაზის მილების გაყვანა) და ვთხოვდით თანხის ჩამორიცხვას. ამას წინ უძღოდა სამი კომისის დასკვნა, რომელიც ადასტურებდა, რომ ჩვენ შესრულებული გვქონდა სამუშაოების 30 პროცენტზე მეტი.

— ბატონო ომარ, ჩვენი გაზეთი აქტიურად აშუქებდა ყველა ინფორმაციას, რომელიც კი თქვენი პატიმრობის საქმეს შეეხებოდა, თითქმის ყოველ პრესკონფერენციას ვესწრებოდით, რომელსაც თქვენი ვაჟი ზაქარია მართავდა. იქიდან მახსოვს, რომ სწორედ ამ დეტალს გედავებოდნენ: თუკი სამუშაოს 30 პროცენტი გქონდათ შესრულებული, 25-ის შესაბამის ანაზღაურებას რატომ ითხოვდითო.

— დიახ, მაგრამ თავიდანვე „მილენიუმთან“ ასეთი შეთანხმება გვქონდა დადებული, რომ ოთხი ანგარიშფაქტურა, ანუ ინვოისი უნდა შეგვედგინა. ერთი 25 პროცენტზე, მეორე — 50 პროცენტზე, მესამე — 75 და მეოთხე — 100 პროცენტზე. ამდენად ჩვენ ვიცავდით შეთანხმებას. სამუშაოების მეტი ოდენობის შესრულება გამოიწვია თვითონ პროექტმა, რადგან თავიდანვე ხარვეზები იყო გათვლებში, გაზის მილები უფრო ღრმად უნდა ჩაგვეწყო, თორემ სხვანაირად მთელ გლდანს პრობლემის შემთხვევაში, ძალიან დააზიანებდა. ასეთ საშინელებაზე ხომ არ წავიდოდი? ეს პროექტი შევათანხმეთ მილენიუმთან და მათ ეს შესწორებული პროექტი გაიზიარეს. 22 თუ 23 სხდომა ჩატარდა და ბოლოს წამოგვეწია მილენიუმის შეფასება, რომელიც მადლობას უხდიდა ჩვენს კომპანია „ჯეო-ინჯინერინგს“ შესრულებული სამუშაოებისთვის... მეტსაც გეტყვით, იურიდიულად ის ფურცელი, რომელზეც ჩემი ხელმოწერა იყო, არანაირ ფინანსურ დოკუმენტს არ წარმოადგენდა. პარადოქსი რა იყო იცით, თვით ეს დოკუმენტი ყალბიც რომ ყოფილიყო, რეალურად პასუხი ბუღალტერს უნდა ეგო, მე კი ფულადი ჯარიმა დამკისრებოდა.

ანუ, ბრალმდებლებისთვის ყველა დოკუმენტაცია იყო ფორმალური. რადგან ამ ყველაფერს წმინდა პოლიტიკური სარჩული ჰქონდა. ხელისუფლებას არ სიამოვნებდა ის პოლიტიკური შეხედულებები, რომელიც ზაქარიას ჰქონდა და ახმოვანებდა კიდეც და ამის გამო გადაწყვიტეს ჩემს ოჯახზე შურისძიება. ფიქრობდნენ, რომ ჩემი დაკავებით ჩემი ოჯახი დაშინდებოდა და გაჩუმდებოდა, ხელისუფლებას შევურიგდებოდი. თუმცა, დაკავების ღამესვე მკაფიოდ შევუთვალე ჩემს შვილებს — „არასოდეს არ გავცვლი ჩემს თავისუფლებას თქვენს თავისუფლებაზე-მეთქი“, ასეც მოვიქეცი...

— იყავით კი დარწმუნებული, რომ შეძლებდით თქვენი სიმართლის დამტკიცებას?

— უბრალოდ, ვერ წარმომედგინა, რომ ამხელა უტიფრობასა და სისასტიკეს გამოიჩენდნენ. მაგრამ მალევე დავრწმუნდი, რომ მხოლოდ ბრძოლა იყო ერთადერთი სწორი გზა. თანაც იყო ერთი მიზეზიც: ხელისუფლება სთხოვდა ჩვენ ორგანიზაციას ხარკი გადაეხადა და დაეფინანსებინა ნაციონალური მოძრაობა საარჩევნოდ, რაზეც მკაცრი უარი მიიღო. ჩვენ პრესტიჟული ორგანიზაცია ვართ, საერთაშორისო ხარისხის სერთიფიკატის მქონე, პატიოსნად ვიხდიდით გადასახადებს და არანაირ „ატკატებს“ არ დავთანხმდებოდით.

— როგორც ვიცით, თქვენი პროკურორი იყო ვახტანგ იაშვილი.

— დიახ, რომ შეხედო, მშვენიერი კაცია, გვიან გავიგე, რომ ის იყო ვახტანგ ბოჭორიშვილის შვილიშვილი და გავოცდი. პროცესზე ვუთხარი კიდეც, გაოცებული ვარ, რომ სამშობლოსთვის დამაშვრალი პაპის შვილიშვილი სატანის მსახური ხდება-მეთქი.

— შეიძლება ის სისტემის მძევალი იყო. პირად საუბრებში ხომ არ გამოუხატავს თქვენს მიმართ თანაგრძნობა, თუ შინაგანად იყო მზად იმისთვის, რომ დაესაჯეთ.

— მონური ფსიქოლოგიით დაბადებული ადამიანი ყველაფრისთვის მზადაა, ოღონდ წინ წავიდეს. მაშინ მართლაც დაანინაურეს. ალბათ, ეს მისი ცხოვრების წესია. არის ადამიანთა კატეგორია, რომელსაც დაუმსახურებლად სურს წარმატების მიღება. და რაც მთავარია,მას არ ჰქონდა განათლება. მე ვხედავდი, რომ იმ სისტემის ბოგინი დიდხანს არ გაგრძელდებოდა და ეს მასულდგმულებდა. უტიფრობის დიქტატი მეფობდა, რომელიც მალე უნდა დამთავრებულიყო, მათ ეს ხედვა არ ჰქონდათ, ეგონათ, მუდმივად გაგრძელებდნენ პარპაშს. საბედნიეროდ ეს რეჟიმი დამთავრდა...

> ***— როგორც ვიცით, თქვენი პროკურორი იყო ვახტანგ იაშვილი.***
>
> *— დიახ, რომ შეხედო, მშვენიერი კაცია, გვიან გავიგე, რომ ის იყო ვახტანგ ბოჭორიშვილის შვილიშვილი და გავოცდი. პროცესზე ვუთხარი კიდეც, გაოცებული ვარ, რომ სამშობლოსთვის დამაშვრალი პაპის შვილიშვილი სატანის მსახური ხდება-მეთქი.*
>
> ***— შეიძლება ის სისტემის მძევალი იყო. პირად საუბრებში ხომ არ გამოუხატავს თქვენს მიმართ თანაგრძნობა, თუ შინაგანად იყო მზად იმისთვის, რომ დაესაჯეთ.***

— სად არის ახლა ის პროკურორი, ხომ არ იცით?

— არ ვიცი, თუმცა გავოცდი, როცა გაზეთში წავიკითხე, რომ თურმე მას მიანდეს გამოსაძიებლად ე.წ. ციხის სკანდალის საქმე. დავრეკე და ვუთხარი, იცით ვინ არის ეს ადამიანი- მეთქი. თუ შინაგანი სამართლებრიობის განცდა არ აქვს ადამიანს, რა უნდა მას სამართალდამცავ სტრუქტურაში?! ასეთი ადამიანები ასეულობით არიან, რომლებიც მორჩილად ასრულებდნენ იმ რეჟიმის დავალებებს. მე მათ ვაფრთხილებდი.

— და მათ გადარწმუნებას ცდილობდით?

— დიახ, რომ ცოდვაში არ ჩაედგათ ფეხი. იცოდეთ, რომ კანონი იკანონებს და პასუხისგება აუცილებლად მოგიწევთ-მეთქი.

— აპირებთ, რომ თქვენი სიმართლის დასადგენად ბრძოლა გააგრძელოთ?

— რა თქმა უნდა, ჩემი საქმე დღესაც სასამართლოშია. ჯერ კიდევ პატიმარი ვითხოვდი სასჯელის შემსუბუქებას, და 9 თვის შემდეგ, აგერ ერთი თვის წინათ მიიღო უზენაესმა სასამართლომ წარმოებაში ჩემი საჩივარი.

— არადა უკვე სასჯელი მოხდილი გაქვთ, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

— ჩემი საქმე ყველა პროცედურას, ყველა ეტაპს გაივლის. ის სტრასბურგშიც არის გაგზავნილი და დღეს თუ ხვალ ჩემი სიმართლე აუცილებლად დამტკიცდება.

არც ერთი დღე იმ რეჟიმს უდანაშაულოდ არ უარსებია, ებრძოდნენ ყველაფერს ეროვნულს, ღირებულსა და პატიოსანს. ჩემმა ოჯახმა კარგად იცოდა ამ კრიმინალური კასტის მიზნები, რასაც არ შევეპუეთ. ამიტომ მე რეჟიმის გასამართლებას ვითხოვ და არა ცალკეული ადამიანებისა. არასდროს ვისურვებ ვინმეს ციხეში ხილვას, მაგრამ ისინი თანამდებობაზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაბრუნდნენ!

ერმა თვითონ უნდა გამოუტანოს განაჩენი, მაგრამ არა ზედაპირულად, არამედ დადასტურებულად, სიჩქარე არ ივარგებს, მართლმსაჯულების აღსრულება უნდა მოხდეს სამართლიანად. ამას კი დრო უნდა. დამნაშავეები უნდა გასამართლდნენ და მათი ოჯახის წევრები უნდა დარწმუნდნენ, ვისთან ჰქონდათ მათ საქმე...

— თქვენ სამოცდაათი წლისა ციხეში გახდით.

— 66 წლისა დამაპატიმრეს. თუნდაც ჩემი ასაკის გამო არ უნდა შეეფარდებინათ ჩემთვის აღკვეთის ღონისძიება. აბსოლუტურად ცრუ ბრალდებით გამასამართლეს, დაარღვიეს უდანაშაულობის პრეზუმფცია ყველა ეტაპზე.

— შესაძლოა, თქვენი სიმართლე დაამტკიცოთ, მაგრამ ციხეში გატარებულ წლებს ვინ აგინაზღაურებთ?

— გეთანხმებით, მაგრამ მე სხვა რამეში ვხედავ კომპენსაციას. ეს ხვედრი რომ არა, ასეთი შეუპოვარი ბრძოლა ჩემი და კიდევ სხვა ბევრი ჩემნაირისა, დარწმუნებული ვარ, დიდხანს გაგრძელდებოდა ნაციონალური მოძრაობის ბოგინი. მათი ჩამოშორება ხელისუფლებიდან ყველაზე დიდი შედეგი და კომპენსაციაა ჩემთვის. არასოდეს პატიმრად არ მივიჩნევდი ჩემს თავს, ვიცოდი, რომ ვიყავი რეჟიმის მძევალი და ბრძოლა აუცილებელი იყო. მართალია, ბრძოლაში დავმარცხდი, მაგრამ საბოლოოდ, ომი მაინც მოვიგე...

ესაუბრა
თეა მოსია

◎ ალიან-ჩალიანი

კულტურის სამინისტროში ვანო მერაბიშვილსა და გუჯა ბიჭაშვილს შორის მცირე ინცინდენტი მოხდა

კულტურის სამინისტროში მიმდინარე მრგვალ მაგიდაზე მცირე ინცინდენტი მოხდა. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, ინცინდენტი „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის გამოსვლას მოჰყვა.

ვანო მერაბიშვილმა სიტყვით გამოსვლამდე, მაგიდასთან მის წინ მჯდომი პირის გადასმა მოითხოვა, რადგან აღნიშნა, რომ ამ ადამიანის რეპლიკები აღიზიანებდა. ვანო მერაბიშვილის წინ მაგიდასთან რაბათის ციხის მმართველი დირექტორი გუჯა ბიჭაშვილი იჯდა. როგორც ბიჭაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, მერაბიშვილს მიმართა, რომ რაბათის აღდგენაზე სიმართლე ეთქვა და, „როგორც ახალციხელი, სამართლიანად მოქცეულიყო“. ბიჭაშვილის თქმით, მერაბიშვილი სწორედ ამ სიტყვებმა გააღიზიანა.

— რაბათში არავითარი ნგრევა არ მიმდინარეობს. ამჟამად უცხოური გადამღები ჯგუფები ცნობილი თამაშის, „ფორტ ბოიარდის“ გადაღებას ახორციელებენ, — აღნიშნა ბიჭაშვილმა.

ინცინდენტის მიუხედავად, ვანო მერაბიშვილმა მრგვალი მაგიდის მონაწილეებს სიტყვით მიმართა და შეხვედრა პროტესტის ნიშნად დატოვა.

ხელოვნებათმცოდნე - რაბათის რესტავრაციიდან შეგვრჩა მავრიტანული სტილის ნაგებობა, რომელიც სრულიად გაუგებარია, საიდან მოვიდა

საბოლოოდ, ქართული ციხისგან მივიღეთ სრულიად სახეცვლილი, ინტერპრეტირებული, რაღაც აღმოსავლური აქცენტებით გაჯერებული, მოგონილი არქიტექტურა, რომელმაც დაკარგა მხატვრულ-ისტორიული ღირებულება, - ამის შესახებ ხელოვნებათმცოდნე, ექსპერტმა მანანა სურამელაშვილმა კულტურის სამინისტროში რაბათის რესტავრაციასთან დაკავშირებით მიმდინარე შეხვედრაზე განაცხადა.

მისი თქმით, რაბათის ციხე შედგება ზედა და ქვედა ციხისგან და 2012 წელს ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების მერე, ზედა ციხის მაგალითზე, მე-19 საუკუნე „საერთოდ გაქრა პირისაგან მიწისა“ და არაფერი აღარ არის მე-19 საუკუნის ნაგებობიდან დარჩენილი.

როგორც ექსპერტი აცხადებს, სამუშაოები ისე დაიწყო, რომ საზოგადოება არ იყო ამის შესახებ ინფორმირებული, ხოლო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს სამეცნიერო საბჭოს წევრებისთვის ალბომი გასაცნობად მაშინ მიიტანეს, როდესაც რესტავრაცია დამთავრებული იყო.

— ამ ციხის მნიშვნელობა ძალიან დიდი იყო. ეს შეფასება არ არის გაზვიადებული. ის ძალიან საინტერესო იყო თავისი სამშენებლო ფენებით, იმ განსაკუთრებულობით, სადაც ქრისტიანული პერიოდი, მუსულმანური პერიოდი, რუსული პერიოდი იყო მონაცვლეობით წარმოდგენილი და არასოდეს არ ყოფილა, რომ, რომელიმე პერიოდი ასე ხელოვნურად ყოფილიყო გამოძევებული ამ ციხიდან, — განაცხადა მანანა სურამელაშვილმა. მისივე თქმით, რეაბილიტაციის შედეგად მივიღეთ სრულიად სახელცვლილი რაბათის ციხე, ისტორიული ნაგებობა, რომელსაც ჰქონდა ჩამოყალიბებული სახე, ახლა კი სრულიად სხვა სახის კომპლექსია.

— ასევე გვაქვს პირისგან მიწისა აღგვილი მე-19 საუკუნის რუსული არქიტექტურა და შეგვრჩა სრულიად გაუგებარი, მავრიტანული სტილის ნაგებობა, რომელიც სრულიად გაუგებარია საიდან მოვიდა, — განაცხადა მანანა სურამელაშვილმა.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ აკადემია ხვალ

აკადემიკოსობის კანდიდატები: ბეჟან ჭანკვეტაძე

ᲫᲘᲛᲘᲘᲡ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრის და ამავე პროფილის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი. 1992-2005 წლებში, თსუ-ის პარალელურად, პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა მიუნსტერისა (გერმანია) და ნაგოიას (იაპონია) უნივერსიტეტებში.

ავტორია საზღვარგარეთის მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში დასტამბული 200-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომისა, საერთო ჯამში 5500-ზე მეტი ციტირებით. უცხოეთში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებულია ბეჟან ჭანკვეტაძის ფუნდამენტური, 555-გვერდიანი მონოგრაფია „კაპილარული ელექტროფორეზი ქირალურ ანალიზში“, სპეციალისტთა მიერ დარგის ბიბლიად(!!) აღიარებული. არის აგრეთვე პრესტიჟულ უცხოურ გამომცემლობებში გამოსული 15-ზე მეტი წიგნის თანაავტორი, ამსტერდამში გამომავალი ინგლისური ბიოსამედიცინო საერთაშორისო ჟურნალის რედაქტორი და 7 საერთაშორისო სამედიცინო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, რაც, რასაკვირველია, აგრეთვე, მიუთითებს მის მაღალ საერთაშორისო მეცნიერულ ავტორიტეტზე.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამართულ სამეცნიერო კონფერენციებზე ბეჟან ჭანკვეტაძეს წაკითხული აქვს ასეულობით პლენარული თუ ზეპირი მოხსენება. მის სტატიებს ჰოლანდიური გამომცემლობისაგან (Elsevier) სამჯერ (2005, 2006, 2010 წლებში) მიენიჭა „ყველაზე მეტად ციტირებულის“ პრემია, ხოლო 2006 წელს — ბელგიის ფარმაცევტულ მეცნიერებათა საზოგადოების პრემია.

ბეჟან ჭანკვეტაძე გახლავთ ამერიკის ქიმიკოსთა საზოგადოების, ავსტრალიის, ბელგიის, იტალიის, პოლონეთის, ჩეხეთის, ჰოლანდიის სამეცნიერო საგრანტო კომიტეტების წევრი; ამერიკული კომპანია Phenomenex-ის მეცნიერ-კონსულტანტი; არაერთი უცხოური პატენტის ავტორი ან თანაავტორი; მისი დამუშავებული მეთოდებით აშშ-ის, გერმანიის, იაპონიის, სხვა ქვეყნების წამყვანი კომპანიები აწარმოებენ სპეციალურ მასალებს, რომლებიც მსოფლიოს მასშტაბით გამოიყენება აკადემიურ თუ საწარმოო ლაბორატორიებში და დიდ მოწონებასა და სპეციალისტთა მაღალ შეფასებას იმსახურებს.

თსუ-ში ბეჟან ჭანკვეტაძის ხელმძღვანელობით მომუშავე კათედრა და სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი აღჭურვილია თანამედროვე საუკეთესო აპარატურით. ორივეგან ბევრი მკვლევარი, დოქტორანტი თუ სტუდენტია დაკავებული ინტენსიური კვლევითი საქმიანობით.

ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ

— ბატონო ბეჟან, რამდენიმე სიტყვით ხომ არ გადახედავთ თქვენს პროფესიულ კარიერას — როგორ დაიწყო, როგორ წარიმართა?

— ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან ჩავები სამეცნიერო სამუშაოებში, მშობლიური უნივერსიტეტის ფიზიკური ქიმიის კათედრაზე, პროფესორ შოთა სიდამონიძის მეთვალყურეობით. დამთავრებისას უკვე მქონდა გამოქვეყნებული შრომები „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“. ჩემით შევარჩიე სადიპლომო თემა, რომელიც ეხებოდა ტოქსიკური ნახშირჟანგისა და აზოტის ოქსიდებისაგან, ავტომობილებისა და ქარხნების გამონაბოლქვი აირების კატალიზური გაწმენდის მიზნით, საქართველოს ბუნებრივი ცეოლითების მოდიფიცირებული ფორმების გამოყენებას.

საკანდიდატო დისერტაცია მოსკოვში, იმდროინდელი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ორგანული ქიმიის ინსტიტუტში მოვამზადე ასიმეტრიული კატალიზის დარგში. 1984 წლიდან თბილისის უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის, აკადემიკოს ვაჟა ოკუჯავას მოწვევით დავბრუნდი ჩვენს უნივერსიტეტში და წლების სიგრძეზე, გარდა წმინდა ფიზიკურ-ქიმიური კვლევებისა, ბატონ ვაჟასთან ერთად ვეწეოდი მეცნიერულ მუშაობას ანტიეპილეფსიური სამკურნალწამლო საშუალებათა ანალიზის, მეტაბოლიზმის, ფარმაკოკინეტიკისა და კლინიკური მონიტორინგის მიმართულებებით.

1992 წლიდან, ხანგრძლივი მივლინებებით, ხშირად ვიმყოფებოდი გერმანიაში მიუნსტერის, იაპონიაში ნაგოიას უნივერსიტეტში მიწვეული მკვლევარისა და პროფესორის რანგში.

— როგორია თქვენი შეხედულება საგანმანათლებლო თუ კვლევითი საქმიანობისათვის საქართველოში შექმნილ ამჟამინდელ ვითარებაზე?

— 2006-2007 წლებში მდგომარეობა ჯერ კიდევ ნორმალური იყო და მეც, ჩემი შესაძლებლობის წილ, მთელი ენთუზიაზმით ვცდილობდი საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეებში ევროპული ხედვის დანერგვას, ჯანსაღი კონკურენციის პრინციპების დამკვიდრებას. 2008 წლიდან ვითარება მკვეთრად გაუარესდა. დაიწყო ყოფილი ხელისუფლების მასობრივი, უშნო და უხეში ჩარევა ამ სფეროებში, რაც გამოიხატებოდა სამთავრობო სტრუქტურების ერთგული, მაგრამ არაპროფესიონალი კადრების „ჩაფესვებით“ საგანმანათლებლო თუ კვლევით დაწესებულებებში, კლანურ-პარტიული ნიშნით საგრანტო დაფინანსების განაწილებით ამავე ნიშნით ცნობილ მეცნიერთა შევიწროებით, დაშინების მცდელობითაც. ამგვარმა მიდგომებმა მთელი განათლების სისტემას, კვლევით რესურსებს სრული განადგურების საფრთხე შეუქმნა.

შარშანდელი არჩევნების შედეგებმა გააჩინა იმედი, რომ სამართლიანობა აღდგება როგორც მთლიანად ქვეყანაში, ასევე ამ ორ „ფრონტზე“. გასაკეთებელი კი ძალიან ბევრია და ყოველ ჩვენგანს უდიდესი ძალისხმევა, თავდადება დასჭირდება, უპირველესად მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის, მერე კი იმის მისაღწევად, რომ ჩვენი სამშობლო მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების რიგში ჩადგეს მეცნიერებისა და განათლების დონით.

ზემოთქმულთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეროვნულ აკადემიაში არჩევნების ობიექტურად ჩატარება.

იმასაც აქვე გეტყვით, რომ ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეორგანიზაციის თაობაზე ფიზიკოს გიორგი დვალისა და მისი კომისიის შეხედულებებს მთლიანად ვიზიარებ.

ᲚᲣᲙᲐ ᲒᲝᲠᲒᲐᲫᲔ

◎ ვითარება

შეტევა „სითი პარკზე“ შიგნიდან და გარედან

ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „სითი პარკის“ თანამშრომლები კომპანიის ადმინისტრაციას მოქალაქეებისთვის ფულის გამოძალვის იძულებაში ადანაშაულებენ, რასაც კატეგორიულად უარყოფენ კომპანიაში. „სითი პარკის“ მენეჯმენტი გაფიცული თანამშრომლების ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს.

„სითი პარკი“ თანამშრომლებს და მათ გადაწყვეტილებას დიდ პატივს სცემს. გვინდა, აღვნიშნოთ, რომ თანამშრომლების ეს ნაწილი რამდენიმე წელია მუშაობს „სითი პარკში“. „სითი პარკი“ არის კერძო კომპანია და ეს თანამშრომლები სამუშაოს დაწყებამდე და დაწყების შემდეგაც, თანახმა იყვნენ ანაზღაურების იმ პირობებზე, რომელიც გაწერილია კონტრაქტში. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ წელიწადზე მეტი ხნის წინათ მათმა უმრავლესობამ ითხოვა ანაზღაურების პირობების შეცვლა და მათი მოთხოვნით მოხდა კონტრაქტის ცვლილება.

ახლა კი თანამშრომლების ამ ნაწილმა მოითხოვა ხელფასის გაზრდა და მათი პირობების დაკმაყოფილებამდე, სამუშაოს შესრულებაზე უარი განაცხადა. კომპანიამ მათი ამ მოთხოვნის გადახედვისთვის ითხოვა გარკვეული დრო და სამუშაოს გაგრძელება, რაზეც მათ უარი განაცხადეს.

„სითი პარკი“ აგრძელებს მუშაობას და ხაზგასმით გვინდა, აღვნიშნოთ, რომ კომპანიის ყველა თანამშრომელი კანონის სრული დაცვით მუშაობს. იმედს ვიტოვებთ, რომ ეს სიტუაცია მალე მოგვარდება“, — აცხადებენ „სითი პარკში“.

ცნობისთვის, კომპანია „სითი პარკის“ თანამშრომლები კომპანიის მენეჯმენტს საზოგადოებისთვის ფულის გამოძალვის იძულებაში ადანაშაულებენ. ამის შესახებ კომპანიის თანამშრომლების ადვოკატმა მარიამ კუბლაშვილმა სააგენტო „პირველს“ განუცხადა და დასძინა, რომ მისი კლიენტები უკვე სამი დღეა, გაფიცულები არიან და მუშაობაზე უარს აცხადებენ.

„როგორც „სითი პარკის“ თანამშრომლები ამბობენ, კომპანიის ხელმძღვანელობა მათ აიძულებდა, გამომძალველებად გადაქცეულიყვნენ და აქტიურად დაეჯარიმებინათ მოქალაქეები, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ხელფასს არ გადაუხდიდნენ. ასეთ მითითებას ისინი ხელმძღვანელობისგან პირდაპირ იღებდნენ და ამაზე ღიადაც ისაუბრებენ.

მათ აქვთ კონკრეტული მოთხოვნა, რომ ჭქონდეთ ფიქსირებული ხელფასი, როგორც ამას კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს და არ იყვნენ დამოკიდებული იმაზე, რომ ადამიანების „გამოჭერაზე“ იზრუნონ. პრობლემას ისიც ქმნის, რომ კომპანიის ხელმძღვანელობამ მათ ხელშეკრულებები ჩამოართვა. ესაა შრომითი უფლების სასტიკი დარღვევა, რასაც ურეაგირებოდ არ დავტოვებთ“, — განაცხადა კუბლაშვილმა.

საინტერესოა, მართლა გაიზარდა თუ არა ბოლო პერიოდში „სითი პარკის“ მიერ ავტომფლობელების დაჯარიმების შემთხვევები? აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელის მიხეილ სარჯველაძის განცხადებით, „სითი პარკის“ მიერ დაჯარიმებული ადამიანების რაოდენობა გაცილებით აღემატება ბანკების წინაშე დავალიანების გამო მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებულ პირთა რიცხვს.

კომპანია „სითი პარკში“ კი არ ეთანხმებიან მსგავს მოსაზრებას და ამტკიცებენ, რომ ბოლო პერიოდში დაჯარიმებულთა რაოდენობა არ გაზრდილა, შესაბამისად, მოსახლეობა ჯარიმებს იმ რაოდენობით იხდის, რამდენსაც წინა თვეებში. კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელის ლევან ტაბიძის განმარტებით, ის აღსრულებაში გადაცემული საქმეების ოდენობის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.

ბოლო პერიოდში „სითი პარკზე“ სხვადასხვაგვარი შეტევები ხორციელდება. კომპანიის თანამშრომლები პროცესებს შიგნიდან აჩქარებენ, ხოლო საინფორმაციო საშუალებები — გარედან. მაგალითად, ბეჭდურ მედიაში რამდენჯერმე გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, „სითი პარკი“ დედაქალაქის პარკირების სისტემიდან გავიდეს. საუბარია კომპანიასთან 15 წლით გაფორმებული კონტრაქტის გაწყვეტაზე. ქვეყანაში მომხდარმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა უგულავასთან დაკავშირებულ ორგანიზაციაზე უარყოფითად იმოქმედა.

თუმცა, ჯერჯერობით „სითი პარკში“ აცხადებენ, რომ ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება, კონტრაქტის გაწყვეტაზე საუბარი არ არის, შესაბამისად, კომპანია ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲔᲭᲐᲣᲠᲘ

◎ ინფორმაცია

ჯარიაშენელები დახმარებას ითხოვენ

ᲒᲝᲠᲘᲡ რაიონის სოფელ ჯარიაშენის მოსახლეობა დახმარებას ითხოვს. როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს , რუსმა მესაზღვრეებმა გუშინ, ფაქტობრივად დაახლოებით 30 ჰექტარი მიწა მიითვისეს და ახალი საზღვარი გაავლეს.

ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ცხინვალის რეგიონის მოსაზღვრე სოფლის მცხოვრებლებს შეიარაღებული რუსი მესაზღვრეები სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამუშავების საშუალებას ამ დრომდე არ აძლევენ.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲔᲑᲘᲡ თქმით, მიწის დამუშავება მათ რუსმა მესაზღვრეებმა აუკრძალეს და ტერიტორიის დატოვება კატეგორიულად მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ დაპატიმრებით დაემუქრნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილზე ვითარება ახლა შედარებით განიმუხტა, ადგილობრივები მიწის დასამუშავებლად შეიარაღებული რუსები მესაზღვრეების გამო ამ ტერიტორიაზე შესვლას მაინც ვერ ახერხებენ. მათი თქმით, ტერიტორიაზე შესვლა მათთვის უკვე სახიფათოა.

ᲪᲝᲢᲐ ხნის წინათ, ჯარიაშენში შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებიც მივიდნენ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ანტიგონე

აფხაზეთის ომში ახალგაზრდა ქალს ერთადერთი ვაჟი თვალწინ მოუკლეს... დედა თმით ხეზე დაკიდეს... და რამდენიმე წუთით ადრე დახვრეტილი უცნობი მამაკაცის ჯერ კიდევ სისხლიანი თვალები ძალით გადააყლაპეს.

ვისი თვალები გადაყლაპე, დაო ბედკრულო?
ქურდის, ყაჩაღის,
მამათმავლის, უკუ მსტოვარის?

ვისი თვალებით გეწვის გულ-გვამი,
ვისი შუქი გიდგას საშოში? —
მწყემსის,
წმინდანის,
ფიროსმანის,
ბრამსის,
ვან-გოგის?

ვისი თვალები გადაყლაპე, დაო ცოდვილო?
თავად ჯვარცმულო,
თვით ჯვარცმულის ცა გადაყლაპე,
მზე გადაყლაპე უსინათლო, სიკვდილმისჯილო?!

ღიაა გარსი, — მთვარის ბადე, —
წრეები წრეში,
თმაქოჩორა მკვდარი მამლები,
სახეზე მიწა...
გულზე მიწა...
თითებში მიწა...
ჩემო საბრალო ანტიგონე, დაო ბედკრულო,
ტყვიაჩაკირულ მიწას ფხოჭნი ქორის ბრჭყალებით.
წითელი წიგნის ბინადარო, —
მარად ორსულო უნაყოფო ვარსკვლავებით,
ზღვის ჭორფლიანი ნიჟარებით და ნაკვერჩხლებით.

შენი გულსაკლავი ქვითინი მესმის.
გოდება მესმის — ძვლების დამშლელი.

ჩემო საბრალო ანტიგონე, დაო ბედშავო,
უკან მოგდევს იოდისფერი გვამების სევდა.
ღრუბლის პირფუფქი მედუზები,
ცის ვერცხლისფერი დელფინები,
ელვის ელამი კიბორჩხალები, ჭალ-წყალების პოლიფონია,
ელდანაცემი ქარის ფრთები და ზართა ზარი.

იქით, ო, იქით, სვეგამწყრალი მდინარის იქით,
საღამო ვეფხვის პერანგივით იწვის ზეგანზე,
იწვის მინდვრების გლეხურ ვარჯებში
და შაშხანების ცეცხლის ყეფაში.

ჩემო საბრალო ანტიგონე, დაო ბეჩავო,
სად მილასლასებ, სად მიდიხარ,
ცრემლის მდუღარე ლოკოკინებით?!
...ციცინათელის ნათლულს ჰგავდი ოქროსფერთმიანს,
მთვრალი ბიჭების სიმღერებით, ხორხოცით დამფრთხალს.

მაისის მზეს და აბრეშუმის დილას ფურცლავდი, —
ვით საქორწინო ვარდის კაბას — ცისკრის კრეტსაბმელს.

ქვირითის, სთველის შემოქმედო, სძალო სამოთხის,
ზღვის მარჯვენა თვალში ცხოვრობდი,
აკვანი სარკმელს გადაჭყურებდა,
სარკმელთან კიდევ ფორთოხლების მზე ხრაშუნობდა,
რძეს და ღრუბელს წოვდა ბოკვერი.

...ღამის სიზმრებში ჩამარხულო შავი სუდარით,
თქვი, რა ხდება ზღვის უხავერდო სამეფოში?
ვის სიმართლეში ეძებ სიმართლეს?
სად გარბის მიწა, — ირმის საძვალე?

არ გათენდება შენი ცა უკვე,
არ აფეთქდება სისხლით მორწყულ განთიადებში
შენი ფიქრის იასამანი,
არ შეიკვრება შენი ტანი ფიჭვის კვარივით
ცხელი მზეების ცისარტყელებით.

შენ, როგორც წმინდა მწუხარება, კარიკარ ივლი,
ჩემო საბრალო ანტიგონე, დაო ბედკრულო!

ანდერძი, ანუ ბალადა იადონზე

ის ბორცვი აფხაზთა სამეფოა,
ეს კორდი ქართველთა სან-რემოა!

მშვიდობით, წარსულის ისტორიავ!
ნახვამდის, მომავლის ნაკადულო,
ბზიფიდან მშფოთვარე ილორამდე
ცრემლივით თვალებში ჩაკარგულო!



გენო კალანდია

რამდენიმე ლექსი წიგნიდან „ფესვები“

ბზიფიდან მშფოთვარე ილორამდე
გუგუნებს... ზრიალებს ზარი ღვთისა:
მშვიდობით, მხარეო ამორძალთა!
ნახვამდის... ნახვამდის, მონა ლიზა!

მკერდი მაქვს შეკრული მავთულხლართით,
გულიდან ნაღველი, სისხლი წვეთავს,
მშვიდობით, მუხებო ემუხვართა!
ნახვამდის, სოფელო ძუძუმტეთა!

ბზიფიდან მშფოთვარე ილორამდე
ცეცხლი წვიმს... ჯარი დგას სადამსჯელო.
მშვიდობით, შვიდფერო კარაველა!
ნახვამდის, ბიჭვინთის ანგელოზო!

ქარია... და დღეა მოჟამული,
დაფრინავს ტყვია და იადონი,
მშვიდობით, სამხრეთის დონ-ჟუანო!
ნახვამდის!.. ნახვამდის, დონა ანნა!

ბზიფიდან ფეხკავშა ეშერამდე
საშენო სამარე გაჭრილია,
მშვიდობით, ძვირფასო ბეთაშვილო,
ძაღლივით ყელკისერჯაჭვიანო!

ნახვამდის, მგლის მუხლა გვიჩიანო, —
ხარივით თვალწამწამნისლიანო!
ჰეი, მანდ რას შვრები, მაგ ლაბადით,
სანამდე გინდა, რო იშრიალო?!

მშვიდობით, ზღვისფერო აფროდიტე!
ნახვამდის, ათონის ზეთისხილო!
ეს ზარი, ეგ მოთქმა მაპატიე,
ეს ცრემლი, — თუ კიდევ ვერ გიხილო.

ეს ლექსიც ანდერძად ჩამითვალე,
სულის ხსნად... და ლოცვად წამებულთა,
მშვიდობით, უმზეო ბედის მთვრევ!
ნახვამდის, ოცნების მძიმე სუნთქვავ!

ის ბორცვი აფხაზთა აკლდამაა,
ეს კორდი — ქართველთა სასაკლაო.
მე უკვე შენსავით ავადა ვარ,
შენ კიდევ ჩემსავით სამკურნალო.

ის ბორცვი აფხაზთა აკლდამაა,
ეს კორდი — ქართველთა სასაკლაო.

ლექსი სამეგრელოზე

სისხლივით ამიჯანყდები, სამეგრელოზე ფიქრო,
მაცხოვრის დაბადებიდან გადაუშლელო წიგნო.
ვაზივით გულდასტყვილო, ჯვარზე გაკრულო ნებით,
ხვალ მშობლით შეგეხიდები, ზეგ საკუთარი ძვლებით.

დილიდან დაღამებამდე დაკიდებულო ნაპრალს,
მე ამოვავსებ უშენოდ იმ სავერანე საფლავს.

მერე სხვა შეგეზიაროს, მან გაგიმაგროს ლიბო,
ოღონდაც ასე მართალი, ასე ერთგული იყო.

არ გამიჯავრდე, გეთაყვა, არ მომიხურო კარი,
მიყვარხარ, როგორც მზე უყვარს უსინათლოს და ყარიბს.

არც აკაკი ვარ, არც ვაჟა, არც მოციქული ზევსის,
უბრალოდ, სიკვდილს ვაპირებ, სიკვდილს ვაპირებ შენთვის.

ავტოპორტრეტი ორშაბათის ფონზე

ორშაბათიდან ვიწყებ სიყვარულს.

ორშაბათს, ალბათ, დამესიზმრები
შენი ღვთიური, ნაზი პროფილით.

ორშაბათს გიხდი ხალხმრავალ ქორწილს
ყველა ლამაზი ქალის სახელით.

ორშაბათს ნეფის გვირგვინს დავიდგამ,
ორშაბათს შავი ღვინით დავთვრები.

ორშაბათს ყველა მიყვარს, ძვირფასო,
ორშაბათს ყველას ვუყვარვარ, ვიცი.

ორშაბათს განძის მფლობელი ვხდები, —
საკუთარ სულში ვპოულობ ოქროს.

ორშაბათს შენთვის ვყიდულობ ვილლას.

ორშაბათს შენზე ვიფიქრებ მხოლოდ,
ორშაბათს გეტყვი: მიყვარხარ ძლიერ,
კოცნით, ალერსით აგივსებ უბეს.

ორშაბათს გავხსნი ნატვრისა ციხეს,
ორშაბათს ფეხქვეშ ჩაგივარდები,

ორშაბათს ჯვარზე გამაკრავს, ალბათ,
იუდა — ვერცხლის, ალაფის მეტრფე.

ორშაბათს გიჟის პერანგით ვივლი.
ორშაბათს სიკვდილს ვაპირებ შენთვის,
ორშაბათს უფლის საფასურს ვიხდი.

ო, საყვარელო, გეშშვიდობები
თოვლით, თრიაქით სავსე ორშაბათს.

ორშაბათს ყველა იქნებით ერთად,
მე არ ვიქნები, ძვირფასო, მხოლოდ.

ორშაბათს ამ ლექსს ვერ წაიკითხავ,
ვერ გაჩერდები ოთახში მარტო.

ორშაბათს ვარდის ჩაიცვი კაბა,
ამომაკითხე თვალებზე ცრემლით,
გამოუცვალე ყვავილებს წყალი,
ორშაბათს...
ორშაბათს...
ორშაბათს!..

მე შავი ზღვისას ჩავყურებ კბოდეს

თქვენ უფლისწულის ვარდები მიგაქვთ,
მე — ოქროსფერი მდინარის შლამი,
მე ჩემი ხსოვნის ავიღებ ჭიქას,
თქვენ უკვდავების დალიეთ ჯამით.

მე შავი ზღვისას ჩავყურებ კბოდეს
და ვცნობ თვალებით იაზონს ვერაგს,
თქვენ ქვეყნის დიბა-ატლასი გქონდეთ,
მე განთიადის ჩავიცვამ პერანგს.

მე შავი ზღვისას ჩავყურებ კბოდეს
და წყლულზე ვიფენ ფაზისის ბალახს,
თქვენ კარდინალის სამოსი გქონდეთ,
მე მამაჩემის მოვისხამ ხალათს.

მე შავი ზღვისას ჩავყურებ კბოდეს
და გრიგალს ვხვდები შიშველი მკერდით,
თქვენ საუკუნის დიდება გქონდეთ,
მე დულცინეას მოვისვამ გვერდით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გენო კალანდიას პოეზია მეგობრების თვალით

მუხრან მაჭავარიანი

...მამლის ყელიდან ამოსული დილა. ხავსით შემოსილი სოფლის ეკლესია. ეკით გადმოფრენილი ჩიქოვანის მიმინო. გლოვად დამსხდარი საოფაქიო. შერვაშიძის თეთრი ქალი. გუბაზის სისხლი. ფაზისის ვარდი. გერგედავას ცირა. ჩელა. ოდოია. აბა, ულა, ჭყონდიდი. ზუგდიდი. ჭალადიდი...

აი, — გენო კალანდიას პოეტური აღმაფრენის დვრიტა.

...აფხაზეთში დატრიალებულმა უფადადუფმა ჯეროვანი ასახვა ჰპოვა (ასეც იყო მოსალოდნელი) გენო კალანდიას პოეზიაში:

„აფხაზეთის ომში ახალგაზრდა ქალს ერთადერთი ვაჟი თვალწინ მოუკლეს... დედა თმით ხეზე დაკიდეს... და რამდენიმე წუთით ადრე დახვრეტილი უცნობი მამაკაცის ჯერ კიდევ სისხლიანი თვალები ძალით გადააყლაპეს“.

ეს ამაზრზენი სიტყვები უძღვის ეპიგრაფად გენო კალანდიას სულის შემძვრელ ლექსს „ანტიგონე“:

ვისი თვალები გადაყლაპე, დაო ბედკრულო?
ქურდის, ყაჩაღის,
მამათმავლის, უკუმსტოვარის?
ვისი თვალებით გეწვის გულ-გვამი?..

ჯოჯოხეთზე უარესია, გენო კალანდიას თვალით დანახული, ერთდროს უწყინარი აფხაზეთი:

სახეწაშლილი ჭაბუკები — საკუთარი ფალოსით გულზე.
კვირტივით ღიად დარჩენილი ბავშვის თვალები.
აი, ჭაბუკის თბილი ფილტვი, —
გაჭყლეტილი ყურძნის მტევანი.
აი, ქალწულის თეთრი ბარძაყი, — ცისკრის ნაფლეთი.

...ახლა, როცა საქართველოში ასეთი აღზევებაა ლოტოფაგთა!

ახლა, როცა გარეწარნი ყოველნაირად ცდილობენ: ქართველებს დაავიწყონ წარსული! დაავიწყონ სამშობლო! დაავიწყონ დედა! დაავიწყონ მამა! გადაანცვალონ წინაპართა საფლავნი... განსაკუთრებულ ჟღერადობას იძენს გენო კალანდიას ირონიული ლექსი „ოლიფანტე“:

ნუ გეშინია, ძმაო ოლიფანტე, ნუ გეშინია,
უსვად გვექნება წლეულს ლოტოსი...
მიირთვი, მიირთვი მაისის ლოტოსი...
მორჩილად დახარე ეგ თავი მონის...
თხუნელასავით სარდაფში ჩადი...
წარსული დაივიწყე...

...გენო კალანდია არა მარტო პოეტია ღირსეული, კაცური კაციცაა!

რეზო ჭეიშვილი

„...ის ბორცვი აფხაზთა აკლდამაა,
ეს კორდი ქართველთა სასაფლაო,
მე უკვე შენსავით ავადა ვარ,
შენ კიდევ ჩემსავით სამკურნალო“.

ჩემი ბატონო გენო, მე მომწონებელი ვარ და არა შემფასებელი და მაინც: ეს წიგნი, რომელიც ხელთა მაქვს, დიდი წიგნია. შიგ ნადებ ლექსებს დავიწყება არ უწერია, რაც არ უნდა ბევრი, ნედლი და ლორთქო ლოტოსები დაგვიყარონ ცხვირწინ!

ძვირფასი ქვებით მოოჭვილ კარედში ჩასმული დიდი წიგნი უნდა ეწოდოს გ. კალანდიას ლექსებს.

მაკა ჯოხაძე

გენო კალანდიას ბოლო წიგნი, საშიში ნიჟარა... ახლაც მიკვირს, როგორ გავუძელი ამ ნიჟარაში დატეულ მეხთატეხას, ღამეული ზღვის საშინელ ღმუილს, გრიგალების ხმაურს, ზვირთების შემოტევას. ახლაც თვალწინ მიდგას სისხლის შხეფებით აფორეჯებული სავსე მთვარეები, შავი მზეები, შუბლგახვრეტილი ბიჭები, სამოსშემოხეული ქალები, ფეხშიშველი ბავშვები და ნიჟარაში მოგუდული, გულის გამგმირავი შორისდებულები — ავაი, უი, ავაი, ვაჰმე, ავაი-უია, გულის გამაგრილებელი თუ გულის დამფლეთი ოხვრა და ურვა...

ველარ ვეშვები გ. კალანდიას წიგნის კითხვას, რომლის ყოველი სტროფი, სახე, მეტაფორა, ტროპი გულის ასაფეთქებელი ნაღმია. ღვარად მდის ცრემლები. მახსენდება ჩვენში ჩაძირული, ჩვენგან მივიწყებული ბებერი სიტყვა — კათარზისი. წმინდა ხარისხის თვალსაზრისით რა მაღალი რანგისა უნდა იყოს პოეზია, რომ დღეს უძველესი სამარხებიდან დღის სინათლეზე ამოიყვანოს მოხუცი კათარზისი...

გ. კალანდიას წიგნმა ისეთივე დაღი დამასვა, როგორ დაღსაც ასვამს ომი ადამიანს. იგი იმდენად ღრმა და მართალი მწუხარებიდან გამოღწეული წიგნია, რომ მის “შემოტევას“ გაძლება უნდა. არტურ რემბოს “მთვრალი ხომალდივით“ ირწევა მისი სტრუქტურა, მისი აღნაგობა, ყველა მისი სახსარი გულისხეთქვად ქცეულა ჩემს შეგრძნებებში, ტაქიკარდიის რიტმსა და მწუხარე ალიონებში, როცა გულით დაფლეთილი სიყვარული თუ სიყვარულით დაფლეთილი გული (ეს უკვე სულერთია). დამშეულ გაზაფხულზე ერთბაშად შემოგისევს ზარების რეკვას.

და მიუხედავად ამ მძიმე, კოშმარული ხილვებისა, გასაოცარია, გენო კალანდიას პოეტური სიტყვების წვნიანობა, ტენიანობა, სინოტივე, ფერადოვნება, უფრო ზუსტად სიცინცხლე სამყაროს შეგრძნებისა. ყოველივე ზემოთქმულის გადატანას ადამიანები ვერ უძლებენ, მათთვის ამ დროს უკვე ქრება ფერი, ქრება მუსიკა, დნება მგრძნობელობა. გენო კალანდიამ ხომ თავად გამოიარა საკენი-ჭუბერის გოლგოთა.

გენო კალანდია ფერწერული გამჭვირვალებითა და სიყვარულით ხატავს “ფორთოხლის გამყიდველ გოგონას“. ამ სიყვარულითა და უბიწობით, ესთეტიზმითა და ფერადოვნებით, მისი გოგონების შედარება, ალბათ, რენუარის გოგონებთან შეიძლება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ რენუარის სიყვარულს დიდი სიმშვიდე და ერთგვარი პასტორალური იდილია კვებავს. გენო კალანდიას გოგონათა და ქალთა პორტრეტებს კი, მათ ღრმა სიყვარულს, ფონად გასდევს ქარიშხლების ხმაური და ბაზრის ყაყანი, სიჭრელე, მიუსაფრობა და ღრმა თანაგრძნობა მათი უიღბლობის გამო.

დიდხანს ვიფიქრე, რატომაა გენო კალანდიას ლექსების ანალიზი ასეთი ძნელი, განა მხოლოდ იმიტომ, რომ პოეზიაზე წერა ისევე რთულია, როგორც რელიგიაზე? ისინი იმდენად წრფელი და ემოციურია, რომ ნაკლებად ემორჩილება განხილვას. მის პოეზიას ერთი უცნაურობაც ახასიათებს, რაც დღესდღეობით, პირადად ჩემთვის, ოცნებად რჩება. მასთან ყოველთვის ჰარმონიაშია ინტელექტი და ემოცია. მათი ერთურთში გადასვლა ისეთივე ბუნებრივი და ერთმანეთიდან გამომდინარეა, როგორც ზღვის ტალღებისა, ეს თითქმის მოუხელთებელი, შეუმჩნეველი პროცესია.

გენო კალანდიას პოეზიას ახასიათებს უცნაური რწევადობა, რაზედაც არ უნდა წერდეს, — ქვაზე, სალამურზე, ქალზე... ეს რწევადობა, ეს ლიცლიცი, ეს სინატიფე, ალბათ, ზღვიდანაც მოდის. ამ თვალსაზრისით თანამედროვე ქართულ პოეზიაში, თუ შეიძლება ასე თქვას, გამორჩეულად ჟანგბადიანია, იოდიზირებულია, და ამდენად, ნაკლებად — ბოღმიანი. და მაინც ვფიქრობ, მისი პოეტური სიტყვის სინედლე, სინოტივის გამუდმებული შეგრძნება ცრემლის ბრალია, ცრემლისა, რომელიც, მართალია, მის თვალზე არავის უნახავს, სამაგიეროდ, ლექსებს უსახსოვრა, ლექსებში ჩაღვარა.

ტანჯვა, სინანული, განწმენდა და განუწყვეტელი ლტოლვა ღვთის სიტყვისაკენ, — აი, ძირითადი შეგრძნებები, რომელთაც გენო კალანდიას ეს წიგნი ბადებს.

გურამ ოდიშარია

გენო კალანდიას პოეზია მრავალფეროვანია და მრავალწახნაგოვანი, მრავალხმიანი და მრავალგანზომილებიანი. ძნელია, მასზე ორიოდე სიტყვით საუბარი. გენო კალანდია ნატიფი ლირიკოსიცაა და იმავდროულად შემართული ერისშვილიც. აფაზეთი მისი განსაკუთრებული სატკივარია, ომი ის საშინელებაა, რომელიც მას, როგორც მშვენიერების მეხოტბესა და მსახურს, იდილიურ, სიყვარულისა და სიკეთის სამყაროს უცამტვერებს — **„სისხლიანია ჩემთვის ივლისი, ქალაქის ქუჩა, ქვაფენილი, ბაღის ხეები, სისხლის ყვავილი ამოდის ზღვიდან“.** ბოლო დროს პოეტს გულიდან ტკივილიანი საყვედური აღმოხდება ხოლმე —**„იყიდეთ საქართველო, — საბრალო დედაჩემი“.** აბობოქრებულ ზღვასავით აჯანყებული სტრიქონების გვერდით მის წიგნში მოალერსე, დამშვიდებული ტალღებივით სტრიქონებიცაა — **„სამეგრელოს ასულო, ჭალადიდის ლერწამო, ზამთრის თეთრი ქარივით სულის ცალფად მწეწავო“... „ისეთი თბილი ღიმილი ჰქონდა, თითქო ზამბახი ეფინა გულზე“.**

გენო კალანდია პოეტი-მხატვარი, პოეტი-მუსიკოსი, პოეტი-ყარიბი. ხატავს სიტყვებით, ახმოვანებს კომპოზიციებს ქვებზე, ცხენებზე, ხეებზე, დოქებზე... ის მარად შეყვარებული პოეტია, სიხარულისა და სევდის კაცი; მისი შემოქმედება რომანტიულია, გაჯერებული ზღაპრულ-მითოლოგიური ელემენტებით — **„მახსოვს აფხაზთა სოფელი, მუხის ხე საჩრდილობელი და მთვრალი ჭრიჭინობელი“.** მისი უკანასკნელ წლებსი შექმნილი ლექსები ტრაგიკულად ზემგრძნობიარეა, ხშირად — სასოწარკვეთილი — **„საზარბაზნე ხორცი ვარ, ალბათ, სისხლიანი დღეების წერა, უსახელო სახელის ჩრდილი“...** და მაინც, საბოლოო ჯამში, ის სინათლის, დილის, იმედის, სიცოცხლის პოეტია — **„არ გაბედო სიკვდილი ადრე, არ გახვიდე მწირივით გზაზე, მარტია და საფლავზე ცივა“...** გენო კალანდიას გამორჩეულმა სიტყვამ გაამდიდრა და მისმა განსხვავებულმა ხედვის ნიჭმა სხვა ხიბლი შესძინა თანამედროვე ქართულ პოეზიას.

სოსო სიგუა

გენო კალანდიას ფაქიზ ლექსებში ცოცხლობს პარნასული და სიმბოლისტური ტრადიციები. იგი ცხოვრების მღვრიე ნაკადში ეძებს ლამაზსა და მშვენიერს, არტისტულსა და ამაღლებულს. ამიტომ მოუხმობს ესოდენ ხშირად მითოლოგიურ და ისტორიულ ლანდებს. ისინი დავიწყების ღამეს მოარღვევენ შორეული ზეციდან, რათა კიდევ ერთხელ გაცოცხლდნენ ლირიკულ წარმოსახვებში.

მაგრამ გენო კალანდიას პოეტური საყრდენი არის კოლხეთი, მშობლიური ადგილები, რომელთაც ზმანების ნისლეული მოსავთ — ოდიშის ჭალა და ჭალადიდის ლერწამი, ფაზისის ვარდი და ტეხურის ზვირთი, ლებარდე და შამგონა...

იმ დროს, როცა ირღვეოდა ლექსის სტრუქტურა, გენო კალანდიამ სონეტსა და ტრიოლეტს მიმართა; მაშინ, როცა რომანტიკას ებრძოდნენ — პოეზიაში მწვანე წვიმები, ფორთოხლისფერი საღამოები და მწუხრის არაბესკები შემოიტანა; ახლა როცა ვულგარობა კარგ ტონად ითვლება — შემოდგომის მოტივებს უსმენს, იების ცრემლს ხედავს და გულს უკლავს განშორების სევდა; როცა სამშობლოსა და მშობლიურის გრძნობა ლამის ზედმეტი გახდეს — ნაცრისფერი სამეგრელოსა და დაკარგული აფხაზეთის ტრაგედია არ ასვენებს.

გენო კალანდია პოეტი „მოღვაწეა, რომლის ლირიკაში გაერთიანდა ჩვენი დღეების კოშმარი და აღმაფრენა.

მურმან ჯგუბურია

გენო კალანდია თავისი მწერლობითა და მოღვაწეობით მომავონებს პაბლო ნერუდას, რომელმაც, მიუხედავად თავისი სახელმწიფოებრივი სამსახურისა, შეთხზა წიგნი „ჩილეს ფრინველები“.

ჯარჯი ფხოველი

გენო კალანდიას პოეზია არის მეგრული ნაღვლიანი სიმღერების რიტმით მავალი წყობილსიტყვა, იმავე კოლხური სიმღერებივით ცვალებადი, მრავალფერი: რაც ისტორიას თანასდევდა, ის გულსაც აჩნია, ხოლო გული ლექსის მესაძირკვლეა... ხოლო გულიდან შობილი სიტყვა ვერ იგუებს გონებრივ გრეხვას, ხელოვნურად მიტმასნილ ფერსა და სურნელს...

მის ბევრ ლექსში იგრძნობა „ნადირული ნებვა“ (გრ. როაქიძე) მწერლისა, რომ არ დააფრთხოს გულისკარს მომდგარი შემოქმედებითი წამი... ნამდვილი, გულისეული განგაში დიდ პოეზიას ესაძირკვლება, ხოლო ცრუ განგაში ქმნის ე.წ. პოეტურ ტექსტებს... მან იცის ნამდვილი და ცრუ განგაშის ამოცნობა, წარუვალი წამის გამოყენება! მას ესმის ღვთაებრივი ზარის წკარუნი!

ვახტანგ ხარჩილავა

გენო კალანდია მაღალი კლასის პროფესიონალია, ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს...

გენო კალანდიას პოეზია ინტელექტუალური, წიგნიერი და დიდ ინფორმაციას ნაზიარები კაცის პოეზიაა.

მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ლექსზე „ოლიფანტე“.

ეს ლექსი არა მარტო წიგნის, არამედ ბოლო წლების ქართული პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია.

პოეტმა მოახერხა ერთ ლექსში სრულყოფილად ეთქვა ის, რასაც ქართველი პოლიტიკოსები, პუბლიცისტები, ჟურნალისტები, ექსპერტები წლების განმავლობაში ლაპარაკობდნენ და ქართველ ერს მაინც ვერაფერი შეასმინეს.

რომ შემეძლოს ამ ლექსს ყველა ქართველს იძულების წესით ზეპირად შევასწავლიდი...

იქნებ, ერთმა ლექსმა შეძლოს იმის გაკეთება, რასაც ზემოთ ჩამოთვლილ პირთა ქადაგებამ ვერ უშველა...



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ზვიად გამსახურდია თბილისში 1994-ში ჰყავდათ ჩამოსვენებული“

ჟურნალისტმა ირაკლი შონიამ დაახლოებით თვენახევრის წინ დაიწყო საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაღუპვის დეტალების მოკვლევა, რის შედეგებსაც პერიოდულად ახმოვანებს მედია-კავშირ „ობიექტივის“ ეთერით, სადაც მას შაბათობით საავტორო გადაცემა მიჰყავს. ამბობს, რომ მოკვლევის პარალელურად, გარკვეული პირები ღიად ემუქრებიან, მაგრამ უკანდახევას და დაწყებული საქმის შუა გზაზე მიტოვებას არ აპირებს. for.ge ჟურნალისტ ირაკლი შონიას შეხვდა და ესაუბრა.

ირაკლი შონია: საზოგადოების გარკვეული ნაწილი ბესარიონ გუგუშვილის ვერსიას იზიარებს, რომლის თანახმად ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა. საზოგადოების დიდ ნაწილს სჯერა, რომ ზვიად გამსახურდია მოკლეს. ოფიციალური ვერსიით, პრეზიდენტმა „თავი მოიკლა“ 1993 წლის 31 დეკემბერს, ხობის რაიონის სოფელ ძველ ხიბულაში, ღურწკაიების ოჯახში, მაგრამ ჩემს მიერ მოკვლეული ფაქტებით დასტურდება, რომ ზვიად გამსახურდია ერთი, ან ორი დღით ადრე მოკლეს, სხვაგან და არა სოფელ ძველ ხიბულაში. აქცენტი მიზანმიმართულად კეთდება ხიბულაზე, მაშინ, როცა მანამდე, სოფელ ჯიხაშკარში გაცილებით საყურადღებო ამბები მოხდა. ჯიხაშკარში, ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახში პრეზიდენტი თავს გაცილებით უსაფრთხოდ გრძნობდა. მან კვარაცხელიებთან ყველაზე დიდი დრო დაჰყო.

— თქვენს მიერ მოკვლეული ფაქტებით სად მოკლეს ზვიად გამსახურდია?

— ამაზე საუბარი სამეგრელოდან დაბრუნების შემდეგ უფრო უპრიანი იქნება. დავინტერესდი როგორ მოხვდა პრეზიდენტი კვარაცხელიებთან. აღმოჩნდა, რომ ჯონსონ კვარაცხელიას ქალიშვილი, დიანა უზენაეს საბჭოში მუშაობდა და მისი ოჯახი პრეზიდენტის ერთგულ მომხრედ ითვლებოდა. როცა პრეზიდენტი ჯიხაშკარში ჩასულა, დიანასთვის უკითხავს — „არიან ამ სოფელში ჩემი მომხრეებიო?“ რაზეც პასუხად მიუღია — „ორი ოჯახის გარდა ყველანი თქვენი მომხრეები არიანო“. ამის გაგონების შემდეგ ზვიად გამსახურდიას უთქვამს, „ბედნიერი ადამიანი ვარო“.

1993 წლის 28 დეკემბერს, ჯიხაშკარში ყოფნისას პრეზიდენტთან მივიდნენ ძმები ჩუხუები (კავკასიოლოგი მერაბ ჩუხუა რომ იყო, იმის მამა და ბიძა). მათ განუცხადეს, „აქ გაჩერება საშიშია, მდევარი კარზეა მომდგარი, ჯონსონ კვარაცხელიას სახლი გაყიდულია, უფრო უსაფრთხო ადგილას უნდა გადაგიყვანოთო“. მასპინძლების განმარტებით, ზვიად გამსახურდიას წასვლა რატომღაც არ უნდოდა, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, მაინც უკითხავს, „სად უნდა გადავიდეთო?“. ჩუხუებს ხიბულა არ დაუსახელებიათ, მაგრამ უთქვამთ, რომ „ეს არის ძალიან კარგი, უსაფრთხო და მიმალული ადგილი, სადაც ეზოშიც თავისუფლად შეგეძლებათ გამოსვლაო“.

რეალურად კი სოფელ ხიბულაში ის სახლი, სადაც ზვიად გამსახურდია 28 დეკემბერს გადაიყვანეს, არის სოფლის ცენტრში. სახლის წინ ტრასა გადის და ეზოში თავისუფლად გადაადგილება კი არა, ადამიანის აივანზე გამოსვლაც არ დარჩება შეუმჩნეველი. საინტერესოა, თავიდანვე იცოდნენ ჩუხუებმა ეს ყველაფერი და პრეზიდენტს ატყუებდნენ?! აგრეთვე საინტერესოა დაცვის უფროსმა რობიზონ მარგველანმა თავად რატომ არ შეამოწმა ეს ადგილი, ეგებ სად მიჰყავდათ პრეზიდენტი?!

ტელეიმედით ღურწკაიების ინტერვიუ გავიდა, რომელშიც ცოლ-ქმარი ჰყვება, რომ სახლში მარტო იყვნენ, როცა მათთან მძიმედ დაავადებული ზვიად გამსახურდია მიიყვანეს, რომელიც თურმე კვნესოდა. რეალურად, სამეგრელოში არც ერთი ის ოჯახი არ ადასტურებს პრეზიდენტის მძიმედ ავადმყოფობას, რომელსაც იმ პერიოდში მასთან შეხება ჰქონდა. არავინ ამბობს, რომ პრეზიდენტი რაიმეს უჩიოდა. ლუდმილა ღურწკაია ცოცხალი აღარ არის. მთელი ამ ოცი წლის მანძილზე ცნობილი იყო, რომ პრეზიდენტს ცოლ-ქმარი დახვდა. რეალურად კი, იქ იყო მათი ვაჟიც, ნუკრი ღურწკაიაც.

ახლა ყველაზე მთავარს მოგახსენებთ — ოფიციალური ვერსიით აქამდე ცნობილი იყო, რომ გასროლა უკუნ სიბნელეში, 1993 წლის 31 დეკემბერს მოხდა და გაიგეს თუ არა გასროლის ხმა, ხანდაზმულმა ცოლ-ქმარმა სირბილით აირბინეს შიდა კიბე, რაც რეალურად არის ტყუილი. თქვენ რომ ნახოთ პირველიდან მეორე სართულზე ასასვლელი შიდა კიბე, დარწმუნდებით, რომ ზევით ასვლა მარტივი არ არის, მით უმეტეს არბენა და თან ხანდაზმული ადამიანებისთვის. კიდევ ერთი დეტალი — აქამდე თუ ცოლ-ქმრის არბენის ამბავი იყო ცნობილი, ახლა აღმოჩნდა, რომ გასროლის შემდეგ შიდა კიბე მათმა ვაჟმა, ნუკრი ღურწკაიამ აირბინა.

აქამდე რობიზონ მარგველანი ირწმუნებოდა, რომ გასროლის შემდეგ დაცვის თანამშრომელ ბაჩუკი გვანცელაძესთან ერთად კედელზე თავს ურტყამდა. რეალურად კი გასროლის შემდეგ, როცა კიბე ნუკრი ღურწკაიამ აირბინა, მარგველანი კარში ჩადგა და ნუკრი ღურწკაიას ოთახში შესვლაში ხელს უშლიდა, მაგრამ ნუკრი ღურწკაია ოთახში მაინც შევიდა და მას ასეთი სურათი დახვდა — ზვიად გამსახურდიას, თითქოს, ეძინა და მცირე ზომის ნატყვიარი ეტყობოდა.

ახლა თქვენ წარმოიდგინეთ როგორი სურათი შეიძლებოდა დახვედროდა ადამიანს, იქ, სადაც 3-5 წუთის წინ თვითმკვლელობა მოხდა და თან „სტეჩკინით“ — თავი გაგლეჯილი და გარშემო ყველაფერი სისხლით მოთხვრილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნუკრი ღურწკაიას მსგავსი არაფერი უნახავს.

სხვათა შორის, მარგველანმა გვანცელაძის გარდა დაცვის სხვა წევრები ჯიხაშკარში დატოვა და ხიბულაში იმის მომიზეზებით არ გადაიყვანა, რომ სივიწროვეა და ვერ დავეტევითო. რეალურად კი კვარაცხელიების სახლი უზარმაზარია.

— თქვენ პირად საუბარში მითხარით, ზვიად გამსახურდიას ცხედარი მკვლელობიდან ძალიან მალე თბილისში ჩამოასვენესო.

— დიახ, ასე იყო. თუ ჯიხაშკარში ჯონსონ კვარაცხელიას სახლი „გაყიდული“ იყო, 1 იანვარს პრეზიდენტის ცხედარი რატომ მიასვენეს იქ?! დაცვის წევრები და ბესარიონ გუგუშვილი ირწმუნებიან, რომ კვარაცხელიების ეზოში დავკრძალეთ და გავიფანტეთო. ამ ფაქტიდან რამდენიმე დღეში ოჯახის უფროსი დაიბარა ერთ-ერთი სამხედრო შენაერთის ხელმძღვანელმა გუჯუჯი ებრალიძემ და შეახვედრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთ მაღალჩინოსანს გია მხეიძეს. ამ უკანასკნელმა ჯონსონ კვარაცხელიას განუცხადა, „ვიცით რომ თქვენს ეზოში პრეზიდენტია დაკრძალული და ეგებ სხვა ადგილას გადაასვენოთო“. აქ ჩნდება კითხვა — რატომ ანერვიულებთ შევარდნაძის მომხრეებს პრეზიდენტის სხვაგან გადასვენება?

> **არაერთი ადამიანი დამიკავშირდა, მათ შორის რამდენიმე პირი მუქარით მოვიდა. ესენი არიან ყოფილი სამხედრო პირები, 70 წელს გადაცილებული ადამიანები, რომლებიც ამ ბოლო ოცი წლის განმავლობაში წყვეტდნენ ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს. პრეზიდენტის სიცოცხლის ბოლო დღეებთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაზე პირდაპირ განმიცხადეს — „ეს არის უშიშროებაში დაცული დოკუმენტები, რასაც თქვენ, ბავშვები ვერ მიწვდებით. ეს თემა დაივიწყე. ამის იქით თუ წახვალ, შეგაჩერებთ“.**

8 იანვარს ჯონსონ კვარაცხელია გააფრთხილეს — „სახლს გაეცალე, რადგან შესაძლებელია გადასვენების მომენტში თავდასხმა მოხდესო“. ოჯახის უფროსმა სახლი დატოვა და უკან მობრუნებულმა ცარიელი სამარე საკუთარი ხელით ამოავსო. ანუ პრეზიდენტის ცხედარი 1994 წლის 8 იანვარს გადაასვენეს და 15-ში იმავე სოფელში, ოღონდ ზარანდიების თავლაში დაკრძალეს.

— სად ესვენა ცხედარი ამ ექვსი დღის განმავლობაში?

— აი, სწორედ ამ მონაკვეთში ჰყავდათ ზვიად გამსახურდია თბილისში ჩამოსვენებული. ცხედარი პირადად ედუარდ შევარდნაძემ ნახა, რომელიც ამ ამბავს მანამდე თურმე არ იჯერებდა. ახლა ირკვევა, რომ შევარდნაძესთან ერთად ჯაბა იოსელიანიც ყოფილა.

15 იანვარს, ზარანდიების სახლში, რომ მიასვენეს, პრეზიდენტის ცხედარი მაშინვე არ დაუკრძალავთ - მისაღებ ოთახში ცხედარი ოთხი დღე ესვენა და ამის შემდეგ გადაასვენეს ვალიკო ზარანდიას თავლაში და იქვე დაკრძალეს, რის გამოც 70 წელს გადაცილებული ვალიკო ზარანდია სასტიკად აწამეს.

საეჭვოდ არ გეჩვენებათ ის რომ, იმ ოჯახის წევრებს, სადაც პრეზიდენტი „თავს იკლავს“, ხმას არავინ სცემს, ხოლო იმ ოჯახის უფროსს, რომლის თავლაშიც ზვიად გამსახურდია დაკრძალეს და რომელიც არაფერ შუაში არ იყო, აწამებენ?!

— როგორ და ვინ აწამა ვალიკო ზარანდია?

— ოფიციალური ცნობით ვალიკო ზარანდია ზუგდიდის იზოლატორში ვინმე კუკური ადამიამ სასიკვდილოდ სცემა და აწამა — „ზვიად გამსახურდია შენს თავლაში რატომ დააკრძალინეო“. წინა დღეს კი მას ავთანდილ მარგიანმა უსაფრთხოების გარანტია მისცა. მე მაქვს ვიდეოკადრები, რომელშიც იმჟამინდელი ვიცე-პრემიერი ავთანდილ მარგიანი ვალიკო ზარანდიას ეუბნება — „თქვენ ძალიან სასიკეთო საქმე გააკეთეთ, ხელს არავინ გახლებთ, ვფიცავარ კვირიკეს ხატს. აგერ არიან მოწმეები — ანზორ ბალუაშვილი, გურამ შარაძე, იანდარბიევი, ავთო იოსელიანიო...“ ამ საუბრიდან მეორე დღეს ვალიკო ზარანდია ზუგდიდის იზოლატორში მიიყვანეს და სასიკვდილოდ სცემეს, აწამეს. ერთი თვის შემდეგ ეს ადამიანი გარდაიცვალა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი — როდესაც გროზნოში გადასვენების მიზნით ჯიხაშკარში სამარე გათხარეს და პრეზიდენტი ამოასვენეს, იქ დამსწრე პირები, ვითომ არ იცოდნენ სად იყვნენ, კითხულობდნენ რა სოფელია, სად ვართო. რეალურად ეს იყო სპექტაკლი. ერთერთ გვარდიელს საყურადღებო ფრაზა წამოსცდა — „უი, ათი დღის წინ რა სხვანაირი იყო ცხედარი და როგორ შეცვლილაო“. ეს ითქვა მაშინ, როცა პრეზიდენტი იყო 38 დღის დაკრძალული და გვარდიელის ამ ფრაზას გურამ შარაძემ მიაქცია ყურადღება. ესეც ვიდეოკადრებშია დაფიქსირებული.

გეკითხებით რას ნიშნავს ათი დღის წინ ცხედარი სხვანაირი იყო?! რამდენჯერ ამოიღეს სამარიდან პრეზიდენტის ცხედარი? აი, ამ და სხვა მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხი სამეგრელოდან დაბრუნების შემდეგ მექნება. ამ დეტალებისთვის, რომელზეც გიამბეთ, მთელი ამ წლების განმავლობაში ყურადღება არ მიუქცევიათ. ეს შიშის გამო მოხდა თუ მიზეზი სხვა რამ არის, ჯერ არ ვიცი.

— თქვენი ინფორმაციით, რა სტადიაშია ზვიად გამსახურდიას დაღუპვის საქმის ძიება?

— ალბათ, გახსოვთ, რომ წინა ხელისუფლების დროს საპარლამენტო კომისია შეიქმნა, რომელსაც სათავეში კონსტანტინე გამსახურდია ედგა. მან მითხრა, რომ კომისიამ მუშაობა დაასრულა და 38 ტომი გადასცა პროკურატურას, მაგრამ საქმეს მსვლელობა დღემდე არ მისცემია. მანამდე სამთავრობო კომისია იყო შექმნილი, რომლის წევრიც გახლდათ მანანა არჩვაძე-გამსახურდია, მაგრამ მან მოგვიანებით კომისია დატოვა, ტენდენციურობა რომ არ დაებრალებინათ. ამავე კომისიაში უზენაესი საბჭოდან რამდენიმე დეპუტატი შედიოდა, პროკურატურიდან — გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე. ამ საქმეს შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილმა მოკიდა ხელი, ბოლოს — ადეიშვილმა, მაგრამ რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ერთხელ თუ ორჯერ შეიკრიბნენ, ეს იყო და ეს, ამის იქით არ წასულან.

„ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში სამეგრელოდან არაერთხელ დარეკეს. მეუბნებიან — „ჩამოდით აქ, ჩვენ გიამბობთ რა მოხდა რეალურად, გაჩვენებთ არაერთ საინტერესო ადგილსო“.

არაერთი ადამიანი დამიკავშირდა, მათ შორის რამდენიმე პირი მუქარით მოვიდა. ესენი არიან ყოფილი სამხედრო პირები, 70 წელს გადაცილებული ადამიანები, რომლებიც ამ ბოლო ოცი წლის განმავლობაში წყვეტდნენ ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს. პრეზიდენტის სიცოცხლის ბოლო დღეებთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაზე პირდაპირ განმიცხადეს — „ეს არის უშიშროებაში დაცული დოკუმენტები, რასაც თქვენ, ბავშვები ვერ მიწვდებით. ეს თემა დაივიწყე. ამის იქით თუ წახვალ, შეგაჩერებთ“.

—როდის მიდიხართ სამეგრელოში?

— უახლოეს დღეებში. იქიდან გამომდინარე, რომ აქ, თბილისში ატყდა ერთი ამბავი, მემუქრებიან და „მირჩევენ“ პრეზიდენტის მკვლელობის გამოკვლევას თავი დავანებო, გამორიცხული არ არის სამეგრელოში მუქარა რაღაც ფორმით სისრულეში მოიყვანონ.

— მიმართეთ სამართალდამცველებს, ამ მუქარის შემდეგ?

— არ მიმიმართავს და არც ვაპირებ, რადგან უნდობლობას ვუცხადებ. თუ სიმართლის დადგენა უნდოდათ, ამის გასაკეთებლად დიდი დრო ჰქონდათ...

ნინო მიქიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სატენდერო მოწვევა

საქართველო

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მესამე პროექტი (P112523)
სატენდერო მოწვევა №TEWHIP/CW/NCB-01

E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის კმ55-კმ80 მონაკვეთის გამყოფ ზოლზე ნიუ ჯერსის ტიპის ბარიერების მოწყობა

1. საქართველომ მიიღო მსოფლიო ბანკის დაფინანსება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მესამე პროექტისთვის (TEWHIP). აღნიშნული სესხის გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება E-60 ავტომაგისტრალის კმ55-კმ80 მონაკვეთის გამყოფ ზოლზე ნიუ ჯერსის ტიპის ბარიერების მოწყობის სამუშაოების ასანაზღაურებლად.

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს, რათა გამყოფ ზოლზე ნიუ ჯერსის ტიპის ბარიერების მოწყობისა და ლითონის მრუდხაზოვანი ზღუდარებით გზის შემოფარგვლის სამუშოების განსახორციელებლად დალუქული კონვერტებით წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები. სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდია 4 თვე.

3. სამუშოების შესყიდვა ჩატარდება ეროვნული ტენდერის (NCB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - "მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი)" და სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად ღიაა მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერი პრეტენდენტისთვის.

4. დაინტერესებული, ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე პრეტენდენტები დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და სატენდერო დოკუმენტების გასაცნობად უნდა დაუკავშირდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების ორგანიზების განყოფილების უფროსს ბ-ნ ილია მესხიშვილს ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10-დან 17 საათამდე.

5. პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიაროს საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

ა. უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ **2,300,000 (ორი მილიონ სამასი ათასი) ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით;**

ბ. ძირითადი კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში ერთ-ერთ ობიექტზე ანალოგიური ხასიათისა და სირთულის სამუშოებს (სამუშოთა მინიმუმ 80% დასრულებული უნდა იყოს) ღირებულებით არა ნაკლებ **1,200,000 (მილიონ ორასი ათასი) ლარი;**

გ. არანაკლებ 4კმ გამყოფ ზოლზე ნიუ ჯერსის ტიპის ბარიერების მოწყობა უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში მინიმუმ ერთი კონტრაქტის ფარგლებში;

დ. ცნობა, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული სასამართლო პროცესში და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრება, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების, გარდა ავანსისა, ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ **400,000 (ოთხასი ათასი) ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით.**

ვ. დამატებითი საკვალიფიკაციო კრიტერიუმები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში: ნაწილი III – შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, პარაგრაფი 1.6.

6. დაინტერესებულ პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტების მთლიანი პაკეტის ინგლისურ ენაზე შეძენა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი მიმართვის და არაანაზღაურებადი 200 ლარის ან აშშ დოლარში მისი ექვივალენტის გადახდის შემდეგ. გადახდის ფორმაა პირდაპირი გადარიცხვა ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

ეროვნულ ვალუტაში გადახდისთვის:
მიმღები: ხაზინის ანგარიში
ხაზინის ანგარიშის № 200 122 900
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ბანკის ძველი კოდი (220 101 222)
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302 007 800
სავალუტე ანგარიშის № 001 189 362

აშშ დოლარში გადახდისთვის:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
მიმღები აგენტი:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
ბენეფიციარი ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი
SWIFT CODE: BNLNGE22
ბენეფიციარი (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი)
IBAN: GE65NB0331100001150207

გადასახადის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის (მიუთითეთ ს/გზის მონაკვეთის დასახელება).

მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტებს საკუთარი ხარჯებით კურიერული ფოსტით გაეგზავნებათ დოკუმენტაცია.

7. სატენდერო წინადადებები მოწოდებული უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2013 წლის 07 მაისის 17:00 საათისა** ადგილობრივი დროით. წინადადებები ელექტრონული ფორმატით არ მიიღება. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. წინადადებები გაიხსნება პრეტენტენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ პირადად დაესწრონ ტენდერს **2013 წლის 07 მაისის 17:00 სთ-ზე ადგილობრივი დროით.**

8. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში (ანუ 90 დღე+28 დღე=118 დღე). ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს პუნქტს ITB 19.8, რადგან ხსენებულ პუნქტთან შეუსაბამობა შესაძლოა სატენდერო წინადადების უარყოფის საფუძველი გახდეს.

9. დამკვეთის მისამართი, სადაც წარმოდგენილ უნდა იქნას სატენდერო წინადადებები:

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ალ. ყაზბეგის გამზირი №12, 0160 თბილისი, საქართველო
შესყიდვების სამმართველო, IV სართული
ბ-ნი ილია მესხიშვილი, შესყიდვების ორგანიზების განყოფილების უფროსი
ტელ: + (995 322) 37-05-08, დამ. 305
ფაქსი: + (995 322) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

INVITATION FOR BIDS

Georgia
Third East-West Highway Improvement Project (P112523)
Bid Invitation No: TEWHIP/CW/NCB-01

Installation of New Jersey Type Median Barriers along section km 55 – km 80 of E-60 Highway

1. Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Third East-West Highway Improvement Project and intends to apply part of the proceeds to eligible payments for contract for Installation of New Jersey Type Median Barriers along section km55-km80 of E-60 Highway.

2. The project implementing agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible bidders to submit their bids in sealed envelopes for execution of installation of New Jersey type median strip and road fencing with steel curved guardrails. Implementation period for execution of construction works is 4 months.

3. Procurement of works will be conducted through the procedures of National Competitive Bidding as specified in the World Bank's Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers (January, 2011) and is open to all eligible bidders as defined in the guidelines.

4. Interested eligible bidders who wish to receive any additional information and inspect the bidding documentation should contact Mr. Ilia Meskhishvili, Head of Procurement Organization Unit of the Roads Department of Georgia at the address below during 10:00 A.M till 17:00 P.M.

5. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:

a. Average annual construction turnover of at least **2,300,000 GEL (Two Million Three Hundred Thousand Georgian Laris) or equivalent** over the last 3 (three) years;

b. experience as prime contractor in the construction of at least one work of a nature and complexity equivalent to the works over the last 5 (five) years (at least 80 % of works should be complete) with a value of at least **1,200,000 GEL (One Million Two Hundred Thousand Georgian Laris);**

c. At least 4 km of New Jersey type median barriers installed for at least 1 contract within the last 3 years;

d. the evidence that the bidder is not involved in any litigation with regard to its bankruptcy, reorganization or liquidation;

e. Liquid assets and/or credit facilities, net of other contractual commitments and exclusive of any advance payments which may be made under the Contract, of no less than **400,000 GEL (Four Hundred Thousand Georgian Laris)** or equivalent.

f. Additional qualification criteria are applicable as indicated in the Bidding Document: Section III – Evaluation and qualification criteria, item 1.6.

6. A complete set of bidding documentation in English language may be purchased by interested applicants on the submission of a written application to the address below and upon payment of a non-refundable fee of 200 Georgian Laris or equivalent in USD. The method of payment will be by the direct deposit to the following account:

For GEL transfer:
Name of the recipient: Treasury Account
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
International Currency: No 001 189 362

For USD transfer
Intermediary:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
Receiving agent:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
Beneficiary's bank: NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: (Roads Department of the Ministry of Regional Development of Georgia)
IBAN: GE65NB0331100001150207

Payment Designation: Tender fee for the Roads Department (Insert road section name)
If requested, the documents will be sent by courier service at the applicant's expense.

7. The Bids should be delivered at the address below not later than **May 07, 2013, 17:00** Hours local time. Electronic versions of the bids are not acceptable. Late bids will not be accepted. The bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend bid opening on, **May 07, 2013, 17:00** Hours local time.

8. All bids should be submitted together with the Bid Security Declaration. Bid Security Declaration shall be valid for 28 days beyond the validity of the Bid (i.e., 90 days+28 days = 118 days). For bids submitted by a JV bidder shall carefully read ITB 19.8 as failure to comply with this ITB may be grounds for bid rejection.

9. The Employer's address for the purpose of Bid submission is:
Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Procurement Department, IV Floor
Mr. Ilia Meskhishvili, Head of Procurement Organization Unit
Al. Kazbegi Avenue 12, Tbilisi, 0160 Georgia
Tel: + (995 322) 37-05-08 ext.305
Fax: + (995 322) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge
WebSite: www.georoad.ge

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ „თბილისი 2015“

ასე ეყრება საფუძველი

საქართველოში ჩინეთის საელჩოს ოფიციალური მიწვევით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფშიძემ ჩინეთის ელჩთან ჩენ ჟიანფუსთან და ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“-ის გენერალურ დირექტორ არჩილ გეგენავასთან ერთად თბილისის ზღვის ტერიტორიაზე ევროპის 2015 წლის ოლიმპიური ფესტივალისათვის მშენებარე ოლიმპიური სოფელი მოინახულა.

თბილისის ოლიმპიური ფესტივალისათვის ოლიმპიური სოფლისა და კომპლექსის მშენებლობას ჩინური კორპორაციული ჯგუფი „ხუალინგი“ აწარმოებს. ოლიმპიური სოფელი დასრულებულ სახეს დათქმულ ვადებში მიიღებს და 2015 წლისათვის სრულ მზადყოფნაში იქნება.

მშენებლობის მონახულებამდე ჩინეთის ელჩის ინიციატივით მხარეებს შორის შეხვედრა გაიმართა, სადაც მინისტრს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტუქტურის სამინისტროებისა და თბილისის მერიის წარმომადგენლებს „ხუალინგის“ გენერალურმა დირექტორმა **ვანგ შენგ სინმა** თბილისის ზღვის ტერიტორიაზე საერთაშორისო სპეციალური ეკონომიკური ზონის მშენებლობასთან დაკავშირებით მომზადებული ვიდეორგოლი წარუდგინა.

პროექტის მიხედვით „ხუალინგის“ საერთაშორისო სპეციალური ეკონომიკური ზონა, რომელიც რეგიონული, ეკონომიკური განვითარებისა და მომავალი ურბანული ზრდისკენ არის მიმართული, ახალ საერთაშორისო რეგიონულ კომერციულ სავაჭრო ცენტრად უნდა გადაიქცეს.

კორპორაცია „ხუალინგი“ ჩინურ კომპანიათა იმ ჯგუფს წარმოადგენს, რომლის საქმიანობის ძირითადი სფერო როგორც ჩინეთში, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ში, შუა აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში მსხვილი დეველოპერული პროექტების განხორციელებაა. საქართველოში ინვესტირება ჯგუფმა 2007 წლის ბოლოს დაიწყო.

გეჟან დოლიძე

◎ ადამიანი დროში

ჯანო ბაგრატიონი - 75

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტს ჯანო ბაგრატიონს 75 წელი შეუსრულდა. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის

საქმეთა სამინისტროსთან ერთად ვულოცავთ ბატონ ჯანოს იუბილეს, ჯანმრთელობას და მხნეობას ვუსურვებთ.

ჯანო ბაგრატიონი 1938 წლის 4 აპრილს დაიბადა თბილისში. თბილისის „ბურევესტნიკის“ შემადგენლობაში 1964 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა ხელბურთში, 1965, 1966 და 1967 წლებში პირველობის ვერცხლის მედალს დაეუფლა, 1963 წელს კი მესამე ადგილი დაიკავა. 1969-1973 წლებში იყო „ბურევესტნიკის“ მთავარი მწვრთნელი.

1973 წლიდან ჯანო ბაგრატიონი ქართულ სპორტში სხვადასხვა თანამდებობებზე მოღვაწეობდა: იყო თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, 1996-2004 წლებში – საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, 2004 წლიდან კი საპატიო პრეზიდენტია. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის, ღირსების და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორდენებით.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კალათბურთი

სიენელთა სინანული

ევროლიგის || ჯგუფური ეტაპის I წრე სიენას „მონტეპასკიმ“ ერთი ამოსუნთქვით ჩაატარა და გათამაშების უმთავრეს ფავორიტ „ბარსელონასთან“ ერთად დამაჯერებლად ლიდერობდა „ბ“ ჯგუფის სატურნირო ცხრილს.

ხომ გსმენიათ – აღმართს დაღმართი მოსდევსო. ზუსტად ასე დაემართა იტალიურ კლუბს, რომელმაც იმდენი მოახერხა, რომ დისტანციის მეორე ნახევარში დარდიმანდულად ანიავა ძვირფასი ქულები და, წამყვანი პოზიციის შენარჩუნებას ვინღა ჩივის, საერთოდ პლეი-ოფს მიღმა დარჩა.

ალბათ, აპენინელთა ბოსები გუნდის თავკაც ლუკა ბანკის მიმართ სათანადო ზომებსაც გაატარებენ, მაგრამ ამით ვიქტორ სანიკიძეს და მის პარტნიორებს აღარაფერი ეშველებათ. დაგვეთანხმებით, მართლაც საწყენია შესანიშნავად დაწყებული სეზონის ასე უსახურად დასრულება.

სამაგიეროდ, წარმატებით განაგრძობს ტიტულის შესანარჩუნებლად ბრძოლას გიორგი შერმადინით გაძლიერებული პირეოსის „ოლიმპიაკოსი“, თუმცა მოახლოებული ევროპის ჩემპიონატის წინ დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ბერძენთა მთავარი მწვრთნელი გეორგიოს ბარძოკასი რატომღაც ნაკლებად ენდობა ჩვენს თანამემამულეს და მასაც დროის უმეტესი ნაწილის გატარება სათადარიგოთა სკამზე უწევს. და ეს მაშინ, როცა „ჯვაროსანთა“ კაპიტანი ზაზა ფაჩულია მძიმე ტრავმის გამო სლოვენიურ ფორუმს გამოტოვებს, მის შემცვლელ შერმადინს კი სათამაშო პრაქტიკა სწორედ ახლა ისე სჭირდება, როგორც არასდროს.

„რეალი“ – „ეფესი“ 86:66, „პანათინაიკოსი“ – ცსკა 73:79, „კახა ლაბორალი“ – „მონტეპასკი“ 76:65, „ოლიმპიაკოსი“ – „ხიმკი“ 79:70, „ბარსელონა“ – „მაკაბი“ 74:71.

საბოლოო სატურნირო მდგომარეობა:

„ა“ ჯგუფი. ცსკა – 11, „რეალი“ – 10, „ეფესი“, „პანათინაიკოსი“ – 9-9, „უნიკახა“ – 7, „უალგირისი“ – 6, „ალბა“ – 4, „ბროზე“ – 0 მოგება.

„ბ“ ჯგუფი. „ბარსელონა“ – 13, „ოლიმპიაკოსი“ – 9, „მაკაბი“, „კახა ლაბორალი“ – 8-8, „ხიმკი“, „მონტეპასკი“ – 7-7, „ფენერბახჩე“ – 3, „ბეშიქთაში“ – 1 მოგება.

ასე რომ, მეოთხედფინალში სამ მოგებამდე მეტოქენი ასე დაწყვილდნენ: ცსკა – „კახა ლაბორალი“, „რეალი“ – „მაკაბი“, „ბარსელონა“ – „პანათინაიკოსი“, „ოლიმპიაკოსი“ – „ეფესი“.

შეგახსენებთ, რომ „ოთხთა ფინალს“ მაისში ლონდონი უმასპინძლებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ წყალბურთი

ბრიტანელთა ძლევით დავიწყეთ

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ დაიწყო წყალბურთელ ვაჟთა 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი რაუნდის პირველი წრის შეხვედრები. შეჯიბრებაში ქართველებთან ერთად მონაწილეობენ ბრიტანელები, ჩეხები, სლოვაკები და პოლონელები. ასპარეზობის სტარტზე საქართველოს ნაკრები 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლებს დაუპირისპირდა.

საქართველო – დიდი ბრიტანეთი 12:3 (3:0, 6:1, 1:0, 2:2).

საქართველო: ჭუმბურიძე, ქენქაძე, ჩიქვინიძე, რუსიშვილი, ლაითაძე (1), ელეზი, ხვედელიანი, ბაღათურია (1), რურუა (კ), გეგელაშვილი (2), ყაზახიშვილი, ელაჩა (3), ცრეპულია (5). მთავარი მწვრთნელი ისელიძე, მწვრთნელი პოპოვიჩი.

დიდი ბრიტანეთი: სკოტი, ჯეიმსი, კარვენი (1), კინგი, სიგესი, უალერი (1), არმსტრონგი, ვინსენტი (1), პარკერი, ჩოლესილდი, რუდერი, ორეგანი, ჰოლანდი. მთავარი მწვრთნელი დანსპი.

ეს გუნდები პირველად ოთხი წლის წინათ შვეიცარიულ ლუგანოში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ საქართველოს ნაკრებმა დიდი ბრიტანეთის გუნდს ერთი ბურთის სხვაობით 10:9 აჯობა. მერე ჩვენებმა თბილისის თასზე სძლიეს კუნძულელებს – 10:7, ევროპის ჩემპიონატის წინა შესარჩევ ტურნირში „ჯვაროსნებმა“ „ოლიმპიკის“ აუზში ბრიტანელებს 9:3 მოუგეს, სტუმრად კი 8:9 დამარცხდნენ.

ქართველი და ინგლისელი წყალბურთელების მე-5 მატჩი მასპინძლების იერიშებით დაიწყო. პირველსავე წუთზე ისელიძის შეგირდები დაწინაურდნენ – ცრეპულიამ პენალტით გახსნა ანგარიში. პირველ პერიოდში ნატურალიზებულმა წყალბურთელებმა – ელაჩამ და ცრეპულიამ კიდევ ორი გოლი გაიტანეს. ამის შემდეგ სრული უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო და მათ გათამაშების ცხრილში პირველი გამარჯვებაც ჩაიწერეს –12:3.

სლოვაკეთი – პოლონეთი 11:1 (4:0, 3:0, 3:1, 1:0).

სლოვაკეთი: გოგოლა, ფამერა (3), ჯანისეკი (3), ნეტბალი, დარიკი (1), ნაგი, მოლნარი, მრავიკი (1), პრუდკა (1), პულოვიჩი (1), კრაჩი, გუირსი (1), კოსმერი. მთავარი მწვრთნელი სიროტნი.

პოლონეთი: დიაკონოვი, რაძინსკი, ბედნარეკი, კოვალევსკი, პიაპეკი, ზუმანსკი, მიჩალსკი (1), მარტინ ბარი, ლივნიჩაკი, მიხალ ბარი, ლუზაკი, ლესზეკი, ზაბლოვსკი. მთავარი მწვრთნელი ქუჯავა.

ამ შეხვედრაშიც სლოვაკები მეტოქეზე მთელი თავით მაღლა იდგნენ და ეს ანგარიშშიც აისახა. სხვაობა, ალბათ, უფრო სოლიდური იქნებოდა, მაგრამ ფავორიტებმა მთავარი ძალები მომდევნო პაექრობებისთვის შემოინახეს და მესამე-მეოთხე პერიოდებში უმთავრესად სათადარიგო შემადგენლობით ითამაშეს.

ანგარიში დარიკმა მე-2 წუთზე გახსნა, მერე ჯანისეკმა, ფამერამ და პრუდკამ კიდევ სამი უპასუხო გოლი გაუტანეს მეტოქეს. პოლონელებმა აუზიდან მშრალად ამოსვლას მხოლოდ მესამე რვაწუთიან მონაკვეთში დააღწიეს თავი. საბოლოოდ სლოვაკებმა 11:1 მოიგეს შეხვედრა.

ლექსო ცინცაძე

◎ ცურვა

კობახიძის „ოქრო“

საქართველოს ეროვნული ნაკრები: ირაკლი ბოლქვაძე, ირაკლი რევიშვილი, თემო კობახიძე, დათო სიხარულიძე და ირინა მინჟულინა (დელეგაციის ხელმძღვანელი) ჰოლანდიის ქალაქ ეინდჰოვენში საერთაშორისო ტურნირზე Swim Cup Eindhoven 2013 გამოდის. ჩვენმა გუნდმა პირველივე საშეჯიბრო დღეს მოახერხა მედლის მოპოვება.

თეიმურაზ კობახიძემ 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში იუნიორთა ასაკში პირველობა არავის დაუთმო, ამასთან ერთი დღის განმავლობაში 2-ჯერ დაამყარა საქართველოს ახალი რეკორდი - საკვალიფიკაციო გაცურვაში მისი შედეგი იყო 25.3 წამი, ხოლო ფინალში ეს შედეგი გააუმჯობესა და დისტანცია 25.18 წამში დაფარა.

მედლის მოპოვების კარგი შანსი ჰქონდა 2012 წლის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსან ირაკლი ბოლქვაძეს. მან 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში საკვალიფიკაციო გაცურვაში 4;30.46 აჩვენა და ფინალში მე-2 საუკეთესო შედეგით მოხვდა, თუმცა იქ შედეგის გაუმჯობესება ვეღარ მოახერხა, დისტანცია 4;34.55 წუთში დაფარა და უმედლოდ დარჩა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

ესეც ლიგაა!

მართალია, ჩემპიონთა ლიგაში შარშანდელი ტრიუმფის შემდეგ ლონდონის „ჩელსის“ თამაში გაფერმკრთალდა, მაგრამ მისი ჩამოწერა რომ ნაადრევია, პრემიერლიგის ლიდერთა ჯგუფში დამკვიდრება და, განსაკუთრებით, ევროპის ლიგის მეოთხედფინალის პირველი რაუნდის წარმატებით დაძლევა მოწმობს.

არადა, ამ ეტაპზე „არისტოკრატთა“ მეტოქის – ყაზანის „რუბინის“ გათვალისწინებით, ეს სრულიადაც არ იყო იოლი საქმე. შეგახსენებთ, რომ მანამდე რუსულმა კლუბმა ტურნირიდან უკანასკნელი ორი გათამაშების გამარჯვებული მადრიდის „ატლეტიკო“ და კიდევ ერთი კერკეტი ესპანური კაკალი „ლევანტე“ გამოთიშა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყურბან ბერდიევის გუნდის წინააღმდეგ „სტემფორდ ბრიჯზე“ გამართულ პირველ ბრძოლაში ძველი დრო გაიხსენა ფერნანდო ტორესმა, რომელიც მასპინძლებს „დუბლით“ შეეწია – 3:1.

დანარჩენი შედეგები: „ფენერბახჩე“ – „ლაციო“ 2:0, „ტოტენჰემი“ – „ბაზელი“ 2:2, „ბენფიკა“ – „ნიუკასლი“ 3:1.

საპასუხო მატჩები 11 აპრილს მოეწყობა.

გიორგი შოთაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ გვწერენ

გაორებული კაცის ბედი

გადავწყვიტე დამეწერა ჩემი მოსაზრებები მომხდარზე, რომელიც სადღეისოდ ძალიან აქტუალურია. გასული წლის ოქტომბერში შეიცვალა სააკაშვილის მთავრობა, ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოვიდა ახალი მთავრობა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, გაჩნდა იმედი მომავალზე, უკეთეს ცხოვრებაზე.

ხელისუფლებამ მთავარი ყურადღება სოფლის მეურნეობაზე გაამახვილა, გლეხს შეუქმნა ყველა პირობა, დაამუშაოს მიწა და არჩინოს ოჯახი. ასეთი დახმარება წინა მთავრობის დროს წარმოუდგენელი იყო. მაგრამ როგორ შეხვდა საზოგადოების ნაწილი ამ საუკეთესო ინიციატივას?

მიუხედავად ჩემი ხანდაზმულობისა, რაც 92 წლით განისაზღვრება, სინანულს გამოვთქვამ იმის გამო, რომ ზოგიერთი ადამიანი ამ სასიკეთო ინიციატივით უკმაყოფილოა, რადგან არა აქვთ უნარი ამ ინიციატივის შეფასებისა ან ისინი მიზანმიმართულად მოქმედებენ, რათა ჩრდილი მიაყენონ მთავრობის კარგ წამოწყებას.

მათ უნდა შევახსენო ყოფილი მთავრობის მოქმედება 9 წლის განმავლობაში. მაშინდელ საჯარო მოხელეებს ჰქონდათ მილიონებად ღირებული საცხოვრებელი სახლები და პირობები, რომ მათ შვილებს მხოლოდ საზღვარგარეთ ესწავლათ.

დასანანია ასეთი ადამიანების არსებობა, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ახალი მთავრობის წარმომადგენლებიც, რომლებიც დაინიშნენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე, მთვრალი კაცის როლში გამოდიან, რა გააკეთონ და როგორ — არ იციან.

მთავარი მაინც საკადრო პოლიტიკაა. ადამიანების შერჩევა პარტიულობის მიხედვით არ უნდა მოხდეს, აქ მთავარია ზნეობა-პატიოსნება, განათლება...

აქვე უნდა ვთქვა, ბოროტსა და შურიანს არასოდეს მოეწონება კეთილი და ჭკვიანი ადამიანის ნამოქმედარი. სხვისი წარმატება ზოგიერთ შემთხვევაში უფრო აბოროტებს შურიანს.

დაბოლოს, ჩემი წერილი უნდა დავამთავრო მწერალ **ოტია იოსელიანის** სიტყვებით: **„სამშობლოს მოსიყვარულე ადამიანი უნდა იყოს თავდადებული, ერთგული, რადგან გაორებული კაცის ბედი მარცხით მთავრდება“.** ადამიანი უწინარესად სამშობლოსთვის უნდა იღვწოდეს.

მოვუწოდებ დღევანდელ ახალგაზრდობას, ბრძენთა გამონათქვამები კარგად წაიკითხონ, გაიაზრონ... სხვა გზის არჩევა დამღუპველი იქნება. ნუ გექნებათ პრეტენზია ყველაფრის ცოდნის, შეგახსენებთ მწარე წყევლას „შენი არ გცოდნოდეს და სხვისი სიბრძნე არ დაგეჯერებინოსო“. ადამიანის წარმატებას და სახელს მისი ნამოქმედარი განსაზღვრავს. კეთილგონიერი ადამიანი იმსახურებს სიყვარულს, უკეთური — სიძულვილს... ნუ დაკარგავთ სიყვარულის შანსს.

კირილე ლაგვილავა,
სოფელი ქვემო ქვალონი,
2013 წელი, 20 მარტი.

◎ ინფორმაცია

2014 წლის 5-19 ნოემბერს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩატარდება

ამასთან დაკავშირებით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ და საქსტატის ხელმძღვანელმა ზაზა ჭელიძემ გუშინ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

აღწერისათვის გასაწევი ხარჯები დაახლოებით 18 მლნ. ლარამდე იქნება. ამ ეტაპზე საქსტატი სახელმწიფო ბიუჯეტისა და გაერო-ს მოსახლეობის ფონდის თანადაფინანსებით ახორციელებს მომდევნო მოსახლეობის აღწერისათვის მოსამზადებელ სამუშაოებს, კერძოდ, მზადდება კითხვარები, ინსტრუქციები და დეტალური ციფრული კარტოგრაფიული მასალა თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მიერ წარმოდგენილი საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამა 2 აპრილს საქართველოს მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისიამ პირველ სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა.

აღწერის ჩატარებას საფუძვლად უდევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეკომენდაცია წევრი ქვეყნებისადმი — ჩატარონ მოსახლეობის საყოველთაო აღწერები 2005-2014 წლების პერიოდში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველო, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყანა, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ერთად ჩართულია მსოფლიო მოსახლეობის აღწერების 2010 წლის რაუნდში.

ბოლო აღწერა საქართველოში 2002 წელს ჩატარდა და საქართველოს მოსახლეობის რიცხვი მაშინ 4 300 000-მდე იყო.

განცხადება

სს „ტრანსმშენის“ დირექტორატი იწვევს აქციონერთა მორიგ საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2013 წლის 14 მაისს დღის 11 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, დოლიძის ქ. №2, მესამე სართული.

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2013 წლის 15 აპრილი.

დღის წესრიგი:

1. 2012 წლის წლიური ანგარიშის დამტკიცება;
2. 2013 წლისათვის აუდიტორის არჩევა;
3. წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა.
5. სამეთვალყურეო საბჭოს შრომის ანაზღაურების შესახებ;
6. სხვადასხვა.

სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების რეკომენდაცია, რომ აქციონერებმა მხარი დაუჭირონ დღის წესრიგში აღნიშნული საკითხების დადებითად გადაწყვეტას.

აქციონერებს საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლების შემოწმება შეუძლიათ დამოუკიდებელ რეგისტრატორთან — სს „კავკასრეესტრში“, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 74 ა, ტელ. 2-220 749, 2-251 876.

სს „ტრანსმშენის“ მმართველი დირექტორი თ. კოტიშაძე

სულთათანა

ელგუჯა ჯვარელიას ტკივილიანი მოგონება

ჩვენო საყვარელო **გუჯა!** დიდი გულისტკივილით ვხვდებით უშენოდ შენი დაბადების დღეს, 2 აპრილს, რომელიც თერთმეტი წელია ასე გაუფერულდა.

წლევანდელი წელი მაინც განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო შენთვის, 50 წელი ხომ საიუბილეო თარიღია.

ცხოვრება წუთიერი გაელვებაა ამქვეყნად და ამიტომაც ჰქვია წუთისოფელი. შენც წუთიერად, შენს ოჯახს მოშორებული, უცხო ქვეყანაში დატოვე უმანკო სული და მწარე სევდა დაგვიტოვე.

იმაზე შემზარავი არაფერია, დაკარგო ძვირფასი ადამიანი და მარადისობაში გადასულს მეთერთმეტედ მიულოცო დაბადების დღე, მაგრამ სიცოცხლე არც დაბადებით იწყება და არც სიკდილით მთავრდება. ამქვეყნიური ცხოვრება მხოლოდ გამოცდაა ჭეშმარიტების შესაცნობად. უსასრულოა შენი არყოფნით გამოწვეული ტკივილი შენი ცოლ-შვილისთვის. ტანჯვის მომტანია ყოველი წუთი დედაშენისთვის, ცრემლიანი, ყოველი შენი მოგონება შენი უსაყვარლესი დისთვის, მოუშუშებელი იარა შენი ახლობლებისა და მეგობრებისთვის. ჩვენ შენით ვამაყობდით, ლამაზი სულის ადამიანო. შენი წასვლით დაცარიელდა ის დიდი და შეუცვლელი ადგილი, რომელიც გეკავა ჩვენს შორის. წლები გადის, მაგრამ არაფერი იცვლება, მონატრება მონატრებად რჩება, ტკივილი — ტკივილად. ჩამდგარია ჩვენს შორის დაუძლეველი დრო და სივრცე.

დრო მიდის, ტკივილი უფრო მატულობს, ძლიერდება, გულში ღრმავდება ის იარა, რაც შენმა გარდაცვალებამ ჩვენს გულში დატოვა.

შენი სიკვდილით გამოწვეული ტკივილი სიცოცხლის ბოლომდე გაყვება შენს გაუბედურებულ დედას, შენს ერთგულ მეუღლეს, უსაყვარლეს შვილებს, საფიცარ დას, ახლობლებს, მეგობრებს.

შენი მოგონება თითქოს შენს არყოფნას ამსუბუქებს, თითქოს ისევ ჩვენს შორის ხარ.

უცნაური რამ არის ბედისწერა, სწორედ მაშინ მოგივლენს უმძიმეს ტრაგედიას, როცა საერთოდ არ ელი. რას ვიფიქრებდით, რომ შენს ხსოვნაზე დავწერდით. შენ ხომ ჯერ კიდევ ცხოვრების დიდი გზა გქონდა გასავლელი.

შენი ნიჭისა და გონების პატრონი რამდენ რამეს მიაღწევდი.

შენი პედაგოგები, თანაკლასელები, თანაკურსელები განსაკუთრებით აღნიშნავენ შენს სიბეჯითეს, ნიჭიერებას, ზრდილობას, თავმდაბლობას, სითბოსა და კეთილგონიერებას.

წარჩინებით დაამთავრე სკოლა, შემდეგ კი უმაღლესი სასწავლებელი და მიიღე იურიდიული განათლება. უმწიკვლოდ და თავდადებით იმოღვაწე შს ორგანოებში, მინიჭებული გქონდა ვიცე-პოლკოვნიკის წოდება. დაძაბულ პერიოდში მოგიხდა აბაშაში პოლიციის უფროსად მუშაობა, მაგრამ ვაჟკაცურად ერკინებოდი ყოველგვარ განსაცდელს, ებრძოდი ბოროტებას, რომ მშვიდად ყოფილიყო ხალხი. არასოდეს გიღალატია შენი მუნდირისთვის. მიმტევებელიც იყავი.

შესანიშნავი ოჯახი დატოვე. ერთგული, მოსიყვარულე მეუღლე და ორი ულამაზესი ქალ-ვაჟი. როგორ იამაყებდი მათი წარმატებით. ქეთევანმა წარმატებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გიგამ კი — აგრარული უნივერსიტეტი და აქტიურ შრომით საქმიანობას ეწევიან.

შენმა მეუღლემ დალიმ პირნათლად შეასრულა თავისი ვალი შენი და შენი შვილების წინაშე, ყველაფერი გააკეთა შენი სახელის უკვდავსაყოფად.

იშვიათობაა ის, რაც გააკეთა შენი შვილებისთვის შენმა დამ ნინომ. ბედმა მასაც დიდი ტკივილი მიაყენა. ნაადრევად დაქვრივდა, მაგრამ კაჟკაცურად გაუძლო განსაცდელს და მთელი სიყვარული, ძალა და ენერგია წარმართა ძმისშვილების ცხოვრების გზაზე დასაყენებლად, გვერდით ამოუდგა მხარში დაქვირვებულ რძალს.

შენს დატანჯულ დედას შენი შვილები ასულდგმულებენ. თავს ევლებიან, ცდილობენ, დარდი და ტკივილი შეუმსუბუქონ.

ძალიან ენატრები გუჯა შენს სანათესაოს, სამეგობროს, ყველას აკლია შენი სითბო, სიყვარული, კეთილი ღიმილი, რომელიც შენს ლამაზ სახეს ასე ამშვენებდა. გამოირჩეოდი სტუმართმოყვარეობით. იყავი ალალი, ხელგაშლილი, ჭირსა და ლხინში გვერდში ამომდგომი, ღირსეულად იცავდი შენი ოჯახის ქართულ ტრადიციებს. მამაშენმაც ნაადრევად, მოულოდნელად დატოვა წუთისოფელი. თუმცა, ბედნიერი ყოფილა, რომ ვერ მოესწრო ამ უბედურებას. შესანიშნავი მამა, მეუღლე, ბაბუა, მამამთილი, ღირსეული პიროვნება, ასე იცნობენ გიგლა (ომარ) ჯვარელიას აბაშაში.

ჩვენო გუჯა! წახვედი და დატოვე კაცური კაცის სახელი, რასაც შენი შვილები მუდამ გაუფრთხილდებიან. მართალია, გაგყვა მათი დიდი დარდი, მაგრამ იძინე მშვიდად, ისინი ღირსეული ადამიანები არიან და ასევე ღირსეულად იცხოვრებენ.

ზეციური სამყაროდან ყოველი ადამიანის ამქვეყნად მოვლინებას თან საკუთარი მისია დაჰყვება ხოლმე — სიკეთის ქმნა. აი, ეს არის უპირველესი მოვალეობა ადამიანისა და სწორედ ამ პრინციპით იცხოვრე, ჩვენო გუჯა.

ვლოცულობთ შენი ლამაზი სულისათვის და გვწამს, რომ შენი თანადგომა, რომელიც მოგვაკლდა, უხილავად გაგრძელდება.

ოჯახი, სანათესაო, სამეგობრო

◎ ბრაკონიერობა

სამართალდამცველებმა უკანონოდ მოჭრილი ხეტყე ამოიღეს

სამართალდამცველებმა უკანონოდ მოჭრილი ხეტყე ამოიღეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსსდან აცნობეს, სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ბორჯომის რაიონული პოლიციის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სოფელ ახალდაბაში მცხოვრები, 1969 წელს დაბადებული ჯუმბერ ა. ხე-ტყის უკანონო ჭრისა და დამზადების ფაქტზე დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის სატვირთო ავტომანქანიდან 14 კუბური მეტრი დამუშავებული ხის მასალა ამოიღეს. გამოძიების ინფორმაციით, დაკავებულს უკანონოდ მოჭრილი ხეტყე ნაშურში სარეალიზაციოდ გადაჰქონდა.

ეს დანაშაული 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ინტერპრესი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს კოლეგას ფიქრია ლაშქარაშვილს მეუღლის

თამაზ ვეშაგურის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ასოციაციის გამგეობის წევრი, საქართველოს დამსახურებული ფარმაცევტი, ღირსების ორდენის კავალერი

რეზო ჭუმბურიძე

ასოციაციის პრეზიდუმი თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა 9 IV, 14 სთ. თერჯოლა.

თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის დეპარტამენტის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ პროფ. ბიძინა ჭუმბურიძეს ძმის

რევაზ ჭუმბურიძის

გარდაცვალების გამო.

ნათელა, შოთა გამყრელიძეები შვილებით, შვილიშვილებით და შვილთაშვილებით დიდი მწუხარებით თანაუგრძნობენ ქეთო, გივი აბაშიძეების ოჯახს

იამზეს (იაკოს)

უდროოდ, ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ხარებას გილოცავთ!

„გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა!“

7 აპრილს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ხარებას ზეიმობს.

...უფალმა იესო ქრისტემ შობამდე დიდი ხნით ადრე აღუთქვა კაცობრიობას, რომ მხსნელს, მესიას მოუვლენდა მას. ქალწული შობდა და უწოდებდნენ სახელად ემანუელს („ჩვენთან არს ღმერთი“).

...ცნობილია, რომ გაბრიელ მთავარანგელოზმა ახარა ღვთისმშობელს, რომელიც დაწინდული იყო იოსებზე, დავითის მოდგმის შთამომავალზე, შობდა მაცხოვარს.

...როგორი გამოძახილი ჰპოვა სამყაროში ხარებამ – რადგან სადავო არ არის, რომ ხარება 7 აპრილს იყო, შესაბამისად, მარიამი ელისაბედს აპრილის პირველ რიცხვებში უნდა სწვეოდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრაა, ვინაიდან სამყაროსთვის სწორედ ამ დღეს გაცხადდა საიდუმლო განგებულებისა, რომელსაც ხარების წუთიდან ელისაბედთან მისვლამდე მხოლოდ მარიამი ფლობდა.

ჯვრის თაყვანისცემა – დიდმარხვის მესამე კვირა

7 აპრილს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დიდმარხვის მესამე კვირიაკეს ხვდება პატიოსანი ჯვრის საკურთხევლიდან მლოცველთა წინაშე გამობრძანებით.

...მლოცველნი თაყვანს სცემენ მინდვრის ყვავილებით შემკულ ჯვარს, ეამბორებიან მას: „ჯვარსა შენსა თაყვანის ვცემთ მეუფეო, და წმიდასა აღდგომასა შენსა უგალობთ და ვადიდებთ“.

ამ წესით წმინდა ეკლესია შეგვაგონებს, რომ ჩვენ ხილულად ვხედავთ პატიოსან ჯვარს, როგორც მოთმინების, მღვიძარების, მხნეობისა და კეთილ საქმეთა კეთების ნიშანს, მარხვით დაუღლელობის სიმბოლოს.

მაცხოვარმა ხომ ჯვრით სძლია ცოდვას, სიკვდილს და ჯოჯოხეთს!

გიული ლიპარტია

◎ მილოცვა

შალვა კაჭარავა – 70

„საოჯახო დედაბოძების“ – „ერის ქვაკუთხედის“, ყოველი ღვთისმშობლის სამუდამო ხსოვნისა და მშვიდობის მამკვიდრებელი „მიწის კანონის“ მომგონებელს, ყოველი გვარისისგან ჩვენებრ ასწლიანი „შვებულებით სამოყვროდ შობილ“ **შალვა შიოს ძე კაჭარავას** ვულოცავთ ხარებას და დაბადებიდან 70 წელს.

საქართველოს მამათა საერო და დედათა საერთაშორისო საკრებულო მარადისობა“.
7 აპრილი, 2013 წ.

◎ ამოჭერი და შეინახე

რომელი ბოსტნეულის მოხარშვაა უფრო სასარგებლო, ვიდრე უმად ჭამა

გვიპასუხებს ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ვენერა გრიგალაშვილი:

– გაზაფხულის დაწყებისთვის შარშანდელი ბოსტნეული და ხილი მართლაც კარგავენ თავიანთი დადებითი თვისებების დიდ ნაწილს. მაგრამ არის ბოსტნეული, რომელიც თავდაპირველი დამუშავებული სახით უფრო სასარგებლოა, ვიდრე ნედლი სახით.

კომბოსტო. თბური დამუშავების შემდეგ კი არ კარგავს, არამედ ამრავლებს კიდეც თავის სასარგებლო თვისებებს. დამწნილების დროს კომბოსტოში ვიტამინი C სამჯერ იზრდება, რძის მჟავა კი, რომელიც წარმოიქმნება დამწნილების დროს, ხელს უწყობს ცილების გახლეჩვასა და უკეთ ათვისებას.

პამიდორი. მისი მთავარი ღირებულება ლიკოპინის ძლიერი ანტიოქსიდანტის შემცველობაშია, რომელიც მეტი გამოთავისუფლდება და უკეთ აითვისება დამუშავებულ მდგომარეობაში (შეწვისა და დამწნილების დროს). ამიტომ უმ პამიდორზე გვირჩევენ მოვაყაროთ მარილი – სასარგებლო ნივთიერებანი ასე უკეთ აითვისება.

სტაფილო. მოხარშულ ამ პროდუქტში არის ვჯერ მეტი ანტიოქსიდანტი, ვიდრე ნედლში. მისი შემცველი ბეტა-კოროტინი ორგანიზმმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ მოხარშული სტაფილოსგან.

ჭარხალი. ნედლი ჭარხალი ბიოლოგიურად მეტ ძვირფას ნივთიერებას (ანტოციანებსა და ფლავონოიდებს) შეიცავს, თუმცა აითვისება უფრო ცუდად, ვიდრე მოხარშული.

ნიორი. თერმული დამუშავების შემდეგ ვიტამინ C-ს ოდენობა მცირდება, მაგრამ იზრდება ალიცინის (ნივთიერება, რომელსაც აქვს ბაქტერიოციდური მოქმედებები და წინააღმდეგობას უწევს თრომბებისა და ქოლესტერინის ბალთების წარმოქმნას) შემადგენლობა.

◎ ანეკდოტები

– გუშინ იყავით კრებაზე?
– არა, სახლში მირჩევნია ძილი.

* * *

– მე და ჩემს ქმარს ხვალისთვის მოზომვისა და თანხმობის დღე გვაქვს ჩანიშნული.
– ეს როგორ?
– მაღაზიაში მივდივართ. მე მოვიზომებ, ის დამთანხმდება!

ახალგაზრდობის შეცდომებზე კი არ სწავლობენ, არამედ ქორწინდებიან.

* * *

დაშას ძალიან ეშინია პეტკასთან ვისკის დალევა, რადგან ვისკის შემდეგ დაშას პეტკასთან უკვე არაფრის ეშინია.

* * *

უყურებ ზოგიერთს და ფიქრობ: იმთავითვე ასეთ დებილად დაიბადა თუ მერე რაღაც დამატებითი კურსებიც დაამთავრა?

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაშინგტონი ვარსებებთან

დე ფაქტო ხელისუფლება ახალგორისკენ გადაადგილებას გაამარტივებს

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება ახალგორისკენ გადაადგილების გამარტივებას გეგმავს. იმ ახალგორელებს, რომლებსაც ჩაწერა ახალგორში არ აქვთ, დე ფაქტო საზღვრის გადაკვეთა პირადობის მოწმობის თარგმანით შეეძლებათ. როდის ექნებათ ჩანაწერის არმქონე პირებს ახალგორში შემოსვლის შესაძლებლობა, ეს ამ დროისთვის არ კონკრეტდება, თუმცა, ამბობენ, რომ გარკვეული შეღავათები იქნება აღდგომის დღესასწაულზე და ახალგორში ოფიციალურად დაურეგისტრირებელ პირებსაც შეეძლებათ რაიონში შესვლა და ნათესავების საფლავზე მისვლა.

„რეზონანსი“

სოზარ სუბარი სახალხო დამცველს უპირისპირდება

ყოფილი სახალხო დამცველი და მოქმედი სახალხო დამცველი ერთმანეთს უპირისპირდება, სოზარ სუბარისა და უჩა ნანეიშვილის დაპირისპირების მიზეზი ტუბერკულოზის დაწესებულებაში არსებული მდგომარეობაა. რა ხდება მე-19 დაწესებულებაში? მკურნალობენ თუ არა ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმრებს ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციით? რამდენად რეალურია, რომ ნორმალური საკვები, როგორც ომბუდსმენი წერს, მხოლოდ სტუმრების საჩვენებლად მზადდება? თავის მოხსენებაში ომბუდსმენმა გარკვეულ დარღვევებზე მიანიშნა და მისი გამოსწორების რეკომენდაცია მისცა სასჯელაღსრულების სამინისტროს. სოზარ სუბარი უჩა ნანეიშვილის შეფასებას არ ეთანხმება.

„ახალი თაობა“

„თუ არჩილ კბილაშვილი ვანო მერაბიშვილს არ დაკითხავს, ცუდი სიგნალი იქნება“

– მიაჩნია უფლებადამცველ ნანა კაკაბაძეს. იგი იმაზეც საუბრობს, რომ 14 აპრილს, სპორტის სასახლეში, არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ დაფუძნებაზე საუბრობს: – აქციის იდეის ავტორებმა საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ 14 აპრილი, სააკაშვილის რეჟიმის გასამართლების, ქართველების ღირსების აღდგენის დღედ მეორედ უნდა იქცეს. მართალია, რეჟიმის დამარცხების დღედ 1 ოქტომბერი უნდა ჩავთვალოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველების ყოფაზე ამ გამარჯვებამ ბოლომდე ასახვა ვერ ჰპოვა, განსაკუთრებით, სამართლიანობის აღდგენის კუთხით. სპორტის სასახლეში, ყრილობაზე დაფუძნდება სახალხო მოძრაობა „სამართლიანობა უნდა აღდგეს“. არის უამრავი შემზარავი ფაქტი, რის გამოც აუცილებლად უნდა დაიკითხოს ვანო მერაბიშვილი. გენერალურ პროკურორს არჩილ კბილაშვილს მივმართავ, ამ მიმართულებით გამოძიება დაიწყოს და მერაბიშვილი დაკითხოს.

„ვერსია“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com